

თავფარავნელი

თავფარავნელის ბალადა

სამმოქმედებიანი პიესა-ზღაპარი

მოქმედი პირნი:

- | | |
|-------------------------------|------------------------|
| 1. მთავარი | 12. სანთელი |
| 2. ნანო — მთავრის ძმისწული | 13. სარკე |
| 3. თავფარავნელი ქაბუკი — აფრა | 14. თავფარავნელის დედა |
| 4. ბახუტა, იგივე მესტვირე | 15. ნაკულა — ჯალათი |
| 5. დიდვეზირი ასპანი | 16. ბრიყვი |
| 6. დიდვეზირი ოსე | 17. I სასიძო |
| 7. სიკა | 18. II სასიძო |
| 8. ძიძა | 19. III სასიძო |
| 9. ჩიტი | 20. IV სასიძო |
| 10. იმედი | 21. მერიქიფე |
| 11. სიმართლე | 22. მოქმედი |

ჩაფრები, გოგოები, ბიჭები, ხალხი...

მოქმედება პირველი

1. პ რ ო ლ ო გ ი

ნახევრად ჩაბნელებული სცენის ზემო ნაწილი თითქოს მთავრით განათებული ზღვავა, შეიძლება ცაც იყოს, რადგან ეს სიზმარია. ორი აფრაგაშლილი ნაჯი ერთმანეთისაკენ მიიწევს; ცხვირებით მიებჯინებიან და გაშეშდებიან. ერთ ნაჯში გოგო დგას, მეორეში — ბიჭი. გოგო ნანოა, ბიჭი — თავფარავნელი მეზადური. ეს ნანოს სიზმარია!

ნ ა ნ ო. არა, არა, არა-მეთქი!

თ ა ვ ფ ა რ ა ვ ნ ე ლ ი. მომისმინე!

ნ ა ნ ო. დამანებე თავი. განა არ ვიცი, რომ ახლაც მესიზმრები! განა არ ვიცი, რომ მარტო სიზმარში გელაპარაკები, ჩემს ოცნებაში...

თ ა ვ ფ ა რ ა ვ ნ ე ლ ი. ოცნებობ, მაგრამ ოცნებისა კი არ გჯერა!

ნ ა ნ ო. რადგან ისიც ვიცი, შენ ჩემთან ვერასოდეს მოხვალ, აქ რომ მოხვიდე...

თავფარავნელი. დოლაბით უნდა გადმოვცურო ზღვა! ეგ მეც ვიცი...

ნანო. მაშ, რატომ არ მანებებ თავს? განა შეიძლება დოლაბით ზღვის გადმოცურვა?

თავფარავნელი. აი, ნახავ, თუ არ შეიძლება! ერთ მშვენიერ დღეს დოლაბით გამოვცხადდები. გეტყვი, დილა მშვიდობისა-მეთქი...

ნანო (სიცილით). იცი, რასა ვფიქრობ... თუკი მართლა როდისმე მოხვალ, თუკი მართლა გამომეცხადები, ჰიშქარზე დააბრახუნებ და შემოხვალ, ოღონდ უსათუოდ გადაცმული იქნები ან შიკრიკით, ან მეწვრილმანესავით, ან მესტვირესავით ანდა მონადირესავით... სხვა ხმით დაილაპარაკებ, სხვისი წვერ-ულვაში გექნება მიწებებული. შეიძლება ყველა მოატყუო, მე კი მაშინვე გიცნობ... თუმცა ესეც ოცნებაა...

თავფარავნელი. ეგ აღვილია, მაგრამ მონადირეს ან მესტვირეს, ანდა ჩემისთანა ღარიბ მებადურს შენს თავს ვინ გაატანს? ეგ მართლაც ოცნებაა. ამიტომ, ავიკიდებ დოლაბს და... დილა მშვიდობისა, ნანო-მეთქი, გეტყვი...

ნანო. უი, ჩემი სახელიც გცოდნია!

თავფარავნელი. შენ განა ჩემი სახელი არ იცი?

ნანო. ფიქრში აფრა შეგარქვი!.. იმიტომ რომ მებადური ხარ...

თავფარავნელი. ხოდა, ერთ დღეს თავფარავნელი ბიჭი, ზედმეტ სახელად აფრა, აიკიდებს დოლაბს, შეცურდება ზღვაში, გადმოცურავს ზღვას, მოვა შენთან, ხელს ჩაკიდებს და წაგიყვანს. ვერავინ დაუშლის, იმიტომ რომ ზღვა დოლაბით გადმოცურავს. ასეა ნათქვამი! ჩემი სახლი აქედან შორს, სხვა კუნძულზე ზღვის ნაპირთან დგას. შინ დედა მყავს... მოკლედ, დოლაბში გაეშვები ბიძაშენს შენს თავს!

ნანო. მეშინია!

თავფარავნელი. რისი გეშინია?

ნანო. შენ, ეტყობა, ეს თქმულება ბოლომდე არ იცი.

თავფარავნელი. ნუ გეშინია, არ დავილუპები. თუკი დაიჭვრებ, რომ უსათუოდ მოვალ შენთან...

ნანო. ვზივარ ამ გაყინულ კედლებში და მაკანკალებს...

თავფარავნელი. მე კი მაგ გაყინულ კედლებისა მშურს!

ნანო. მართლა არ გაგყდეს და დოლაბი არ აიკიდოს-მეთქი...

თავფარავნელი. ოღონდ შენ ჩემი გწამდეს...

ნანო. ბიძაჩემი გათხოვებას მიპირებს, მე ვეუბნები, დოლაბიან ბიჭს დაველოდები-მეთქი. სიცილადაც არ ყოფნის, ეგ ზღაპარ-
96

შია ნათქვამი, სულელოო... ძიძაც ასე ამბობს, უმალ ძალღიგით გამალივით დაიფიქრებს, კუ კურდღელს დაეწევა, მელა მოსამართლედ დაჭდება, ვიდრე კაცი ზღვას დოლაბით გადმოცურავსო. სანთლისხელა იმედიც კი არ უნდა გქონდესო. მეც შევეცქერი სანთელს და ვტირი. სარკეში ვიხედები და ვტირი, იმიტომ, რომ სარკე იმასვე მეუბნება, რასაც ძიძა, ლამაზი ხარ და ოცნებას თავი გაანებეო.

თავფარავნელი. მე იმ სინათლისაც მშურს, სარკისაც, შენთან არიან, გიყურებენ, შენი ხმა ესმით... ისე კი მართალი უთქვამს შენს სარკეს.

ნანო (გამომწვევად). მართალი უთქვამს? მაშ, აღარ ვიფიქრო შენზე, დაგივიწყო?

თავფარავნელი (ღიმილით). თუკი მართლა გიყვარვარ, ბევრიც რომ მოინდომო, მაინც ვერ დამივიწყებ.

ნანო. ხომ შეიძლება... ხომ შეიძლება, ცხადში არც არსებობდე, მხოლოდ ჩემი სიზმარი იყო და მეტი არაფერი?

თავფარავნელი. სიზმარსაც გადმოვცურავ! ერთ მშვენიერ დღეს გაახელ თვალს და...

ნანო. დამანებე თავი, დამანებე... აღარ ვიცი, ვის დაეუჭერო...

თავფარავნელი. აი, ნახავ, თუ არ მოვალ! ოღონდ მუდამ უნდა გახსოვდე. ცხადშიაც ისევე უნდა გახსოვდე, როგორც სიზმარში გახსოვარ. შემომფიცე, რომ გეხსოვები, შემომფიცე! სანთელიც ჩაუქრობლად გენთოს. იცოდე, სანთლის შუქს წამოვყვები, დავენდობი, როგორც შუქურას. თუ ჩაგიქრა, ველარ მოვალწვე შენამდე...

შუქი ქრება. მაშინვე ნათდება სცენის ერთ-ერთი აქამდე ჩაბნელებული კუთხე. სადაც მთავარი და რაინდი ბახუტა მიუუყელან, ნანოსა და თავფარავნელის საუბარს ყურს უვადებენ.

მთავარი (ჩურჩულით). გესმის?

ბახუტა. მერამდენე ლამეა, ასე ვუსმენ...

მთავარი. მერე, დაიხსომე?

ბახუტა. დიახ, დავიხსომე...

მთავარი. აბა, შენ იცი!

ბახუტა. ოღონდ...

მთავარი. არ შემარცხვინო! დანარჩენი თავისით მოხდება, თუ შემოგფიცა, ფიცს აღარ გადავა...

ბახუტა. ოღონდ...

მთავარი. ხო, ყველაფერი კარგად იქნება!

7. თ კლიამე

ბ ა ხ უ ტ ა. ღმერთმა არ დაგესაჯოს-მეთქი, სხვის სიზმარს რომ ვუ-
ყურებთ!
მ თ ა ე ა რ ი. შენ ყველაფერი კარგად დაიხსომე. ღმერთი ჩემზე
იყოს! რა თქვა — ღმერთიო! შენ რა გითხრა, ბახუტა, შენა!

2. დილა.

სცენა თითქმის მთლიანად ნათდება. მზით გაჩახახებულ დილა. სა-
წოლზე დგას პერანგისამარა ნანო.

ნ ა ნ ო. გოგოებო, რა მოგიყვებ, რა მოგიყვებ!

გოგოები შემოეხვევიან.

ხო, ისევ ის დამესიზმრა...
მე მიედიოდი წყალზე, ო, ღმერთო,
როგორც მიწაზე... და არა შიშით,
არამედ შევებით და სიხარულით
მებერებოდა გული, ბურთივით.
უცებ რას ვხედავ!
ზურგზე დოლაბი
აუკილია და ჩემკენ მოდის!
ისე თამამად მოაბიჯებდა
სისხლისფერ წყალზე,
თითქოს მინდორში გუთანს მისდევსო...
და თან მეძახდა,
ალბათ იფიქრა, არ შეშინდესო
და შორიდანვე გულს მიკეთებდა,
ვითომ რა დიდი ამბავიო
ზღვის გადმოცურვა,
თუნდაც დოლაბით.
— რა გინდათ, რად არ ჩამომეხსნებით? —
გაებრაზდი ვითომ.
უცებ თქვენობით მივმართე, რადგან
იყო რალაცა მართლაც დიადი
იმ ჩემი ტოლი ბიჭის იერში.
— თქვენ ყოველამე მოლიხართ ჩემთან
და უფრო სწორად — გინდათ მოხვიდეთ,
ბატონო ჩემო,
მაგრამ წყეული დოლაბი გიშლით.
ძნელია, ციცი ზღვის გადმოცურვა

წისკვილის ლოდით,
ძნელი და თითქმის შეუძლებელიც,
თითქმის კი არა, არ შეიძლება
ზღვის გადმოცურვა წისკვილის ლოდით.
ბატონო ჩემო...

თან კი ჩიტივით მიფართხალებდა
უბეში გული...

ის კი —

შენ ოღონდ დამელოდეო,
ოღონდ ყოველთვის გწამდესო ჩემი,
სიზმარსაც ასე გადმოვცურავო,
გეახლებიო სიზმრიდან ცხადში.
შემომფიცეო,
გწამდეს ჩემიო,
გწამდესო ჩემი,
გწამდეს

და

გწამდეს!

არ არსებობდა სხვა სიტყვა თითქოს...

შენთან მოვალო,

გჯეროდეს,

გწამდეს!

ლატრიალდება, როგორც დოლაბი,

შენი კუნძული!

ჩამოინგრევა ყინულის კოშკი!

ერთმანეთს შეცვლის

სიცხე,

სიცივე,

წვიმა

და

თოვლი!

და ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს,

გწამდეს! (პაუზა.) მერე ხელით ნიკაპი ამიწია და მაკოცა... მე

დაყვირება მინდოდა. ხომ უნდა დამეყვირა?

გ ო გ ო ე ბ ი. მერე, დაიყვირე?

ნ ა ნ ო. თქვენ არ გჯერათ სიზმრისა?

ძ ი ძ ა. მაგ ლაბარაკს გირჩევენია, ჩაიცვა. არა გრცხვენია, შუადღე
წამოვიდა, შენ კი პერანგისამარა დგახარ და დოლაბი, დოლა-
ბიო, გაიძახი. ალბათ ისევ ის შენი მებაღური დაგესიზმრა.

ამოდენა გოგო ხარ, გასათხოვარი და ეგ სულელური სიზმრე-
ბი კი ვეღარ მოიშალე.

ნ ა ნ ო. ჩავეცემ, ჩავეცემ, დამაცადე ცოტა. შენ ის მითხარი, ძიძა,
ძიძუნო, ძიძუკუნა, ზღვის გადმოცურვა თუ შეიძლება?

ძ ი ძ ა. ყოველ დღით ერთი და იგივეს კითხვა აღარ მოგბეზრდა?
გაიხედე, ჩვენი ნავსადგური ხომალდებითაა სავსე, რომელი
ქვეყნიდან არ მოდიან აქ.

ნ ა ნ ო. კაცი თუ გადმოცურავს ზღვას, კაცი?

ძ ი ძ ა. კაცი?

ნ ა ნ ო. დოლაბით!

ძ ი ძ ა. ერთხელაც გითქვამს დოლაბით და მაგრად გაიტყობები,
იცოდე! გოგოს ჩავაგზავნი, ჭინჭარს ამოვატანინებ და იმით
დავისუსხავ მაგ კანკებსა. ვერ უყურებთ ამას! გოგის მეტი ვინ
შევა, გოგო, ზღვაში დოლაბით? თუ არ გაჩუმდები, თუ არ
მოიშლი, სიკას გავაწყვებლინებ შენს თავსა!

გ ო გ ო ე ბ ი.

— ო, მკაცრია ჩვენი სიკა!

— მრისხანეა კოკლი სიკა!

— ჩაფრებს თავზე დასტრიალებს

და მათრახით აცლის სიქას!

— ო, მკაცრია ჩვენი სიკა,

ის უფროსი ჩაფარია!

— ამ სასახლის დარაჯობა

ამიტომაც აბარია!

ისმის ჭიჭიის ჭრიალი.

— სასიძოვები მობრძანდნენ, სასიძოვები მობრძანდნენ!

ძ ი ძ ა. ამოივლე, შეილო, თავიდან ეგ სიზმრები, ეგ შენი დოლაბე-
ბი, მოირთვე და მოიკაზმე. აგე, სასიძოვები მოვიდნენო! დაუ-
ჭერე ბიძამენს, ის ცუდს არ გირჩევს, ჩაიცვი, რაღას უყურებ!

ნ ა ნ ო.

ჩიტო, ჩიტო, ნეტავი

რა მომელის მე?

ჩ ი ტ ი.

ვარსკვლავებში ჩახჩახებენ

სიყვარულის ხე!

ნ ა ნ ო.

თითქოს ცრემლის ღრუბელი

აწვიმს ცრემლის ზღვას,

100

შენი ენა სხვას ამბობს,

გული მიგრძობს სხვას

ძ ი ძ ა. აბა, სწრაფად! სწრაფად! დატრიალით, გოგოებო, საცაა
მთავარი დაგვიძახებს. სარკე სად არის? რა იქნა სარკე?

ს ა რ კ ე.

ჩემთვის ვდგავარ ჩრდილში ცალკე,

თვალს აბარებს ჩემსკენ ყველა,

დახმარებას მთხოვენ სარკეს,

შემიძლია — სარკეს — შევლა?

მე სიმართლეს ვამბობ მხოლოდ,

სიმართლე კი არ სურს არვის,

ყველა წყენით მტოვებს ბოლოს,

მე მტოვებს და სხვასთან გარბის,

ნ ა ნ ო. მე არსად არ წავალ, სარკევე. ან სად უნდა წავიდე, შენს
იქით გზა სადა მაქვს? ვისხდეთ და ვუყუროთ ერთმანეთს
თვალებში. იქნებ შენ მაინც მითხრა, ჩემო სარკევე, სიზმარში
ნანახი დოლაბი რას უნდა ნიშნავდეს?

ს ა რ კ ე.

ამას რატომ მეკითხები,

როგორ არა გრცხვენია,

დოლაბი ხომ ქვისაა,

ქვა კი ჩემი მტერია!

ნ ა ნ ო. დოლაბი ქვაა

თუ იმედი?

ს ა რ კ ე.

ქვაა, ქვა!

და არაფერი

არ არსებობს

სხვა!

რასაც ხედავ,

სიზმარიც და სინამდვილაც

ის არი.

დაივიწყე,

დაივიწყე,

დაივიწყე,

ეგ ბავშვური,

სულელური სიზმარი!

ნ ა ნ ო.

ჩიტო, ჩიტო, ნეტავი,

101

რა მომელის მე?

ჩ ი ტ ი.

ვარსკვლავებში ჩახახებს
სიყვარულის ხე!
შენც აკოცე?

ნ ა ნ ო.

ჩიტო, ჩიტო, ნეტავი,
დაგანახვა წამით
რა ცეცხლი ტრიალებს ჩემს გულში... არ უნდა მეკოცნა?

გამოდის მოქმელი.

მ თ ქ მ ე ლ ი.

თავფარავნელი ჭაბუკი
აშკარეთს ქალსა ჰყვარობდა,
ზღვა ჰქონდა წინად სავალი,
გასვლას შიგ არა ზარობდა.
ქალი ანთებდა სანთელსა,
სანთელი კელაპტარობდა.
ერთი ავსული ბებერი
ვაჟისთვის ავსა ლამობდა,
სარკმელზე ანთებულ სანთელს
აქრობდა, აბეზარობდა.
ვაჟი მოანგრევს ტალღებსა,
გულ-მკერდი არა ჩქამობდა,
ცალხელით დოლაბი მოაქვს,
ცალხელით ნიავეჯარობდა.
ზღვის გაღმა ერთი სანთელი
გამოდმა კელაპტარობდა.
ღამე ჩამოდგა წყვილიადი,
უკუნს რამესა ჰგვანობდა,
ტალღა ტალღაზე ნაცემი
ვაჟის ჩანთქმასა ლამობდა.
დაჰკარგა ფონი, შეშვირდა,
მორევი ბობოქარობდა.
გათენდა დილა ლამაზი,
კეკლუცის თვალებს ჰგვანობდა,
წყალსა დაეხრო ჭაბუკი,
ზედ ზღვის ნაპირას ქანობდა.
წითელი მოვის პერანგი

ზევიდან დაჰფარფარობდა.
ლემს დასჯდომოდა ზედ ორბი,
გულს უგლეჯავდა, ხარობდა...

პ ა უ ზ ა.

ბავშვებო, თქვენ ეს ხალხური ლექსი, რასაკვირველია, კარგად იცით, მაგრამ ალბათ გაინტერესებთ, როგორ გაჩნდა ის ამ ქვეყანაზე, ანუ რატომ დაიღუბა თავფარავნელი ჭაბუკი, რომელმაც ზღვის დოლაბით გადმოცურვა მოინდომა...

იღებს გრძელ ჯოხს და ზემოდან ჩამოშვებულ რუკასთან მიდის.

ამ რუკაზე თქვენ ახლა ზღვასა და ორ კუნძულს ხედავთ. ვინც რუკის წაკითხვა იცის, დამეთანხმება, რომ ეს კუნძულები საკმაოდ შორი მანძილითაა ერთმანეთისაგან დაშორებული. ერთ კუნძულს, აი, ამას (აჩვენებს რუკაზე) რომელიც უფრო მოზრდილია, აშკარეთი ერქვა. ის ბროლისა იყო. ბროლის კუნძულზე ბროლისავე სასახლე იდგა. ბროლის კუნძულს ბინადრებმა არ იცოდნენ, რა იყო დრო, რადგან მათი ცა და მიწა არ ბრუნავდა. ნუ გელიმებათ, არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ ზღაპარს უყურებთ. ჰოდა, რადგან ამ კუნძულზე დრო უძრავად იდგა, ხალხიც არ იცვლებოდა, ბავშვები სულ ბავშვებად რჩებოდნენ და შეწუხებული მათი მშობლები გულში ღმერთს ევედრებოდნენ, ერთი ეს კუნძულიც სხვების მსგავსად, დაატრიალე, რომ ჩვენი შვილების გაზრდასა და დავაჟკაცებას მოვესწროთო. გულში ევედრებოდნენ-მეთქი იმიტომ ვთქვი, რომ ხმამაღლა ამის თქმას ვერავინ გახედავდა, რადგან მთავარს სასტიკად აეკრძალა ამაზე ჩივილი. მკითხავს ეთქვა მისთვის, ერთხელაც იქნება, თავფარავნელი ჭაბუკი დოლაბით ზღვას გადმოცურავს, შენი კუნძულიც დოლაბით დატრიალდება და სასახლეც თავზე დაგეზგრევაო. მთავარს მკითხავი სარზე დაუსვამს, ასე იციან მეფეებმა, თუ სასიამოვნოს ეტყვი, სკამზე ბალიშს დაგიფენენ, თუ არა და სარზე დაგსვამენ. მკითხავი კი მოუშორებია თავიდან, მაგრამ შინ გულში ჩარჩენია, თუმცა, ვისთვისაც კი არ შეუჩივია, ყველას ერთნაირად გასცინებია, ზღვის დოლაბით გადმოცურვა ვის გაუგიაო. მართლაც, აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ ვის გაუგიაო. (ჩოხით აჩვენებს რუკაზე.) აი, აქედან, დიახ, ეს კუნძულია სწორედ თავფარავანი, აქამდე, ესე იგი, აშკარეთამდე ზღვა გადმოცურო, თანაც დოლაბით! ხომ ძნელი წარმოსადგენია?

ძნელი კი არა, შეუძლებელიცაა ამის წარმოდგენა. ამიტომაც, მთავარი მშვიდაა. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად არაფერი ეტყობა. ერთი კია — არ იცის, რა მოუხერხოს თავის ძმისწულს, რომელსაც სიცოცხლე, სიხარული, ბედნიერება სწყურია და ასეთ უცნაურ სიზმრებს ხედავს. ჭერჯერობით, სხვა რომ ვერაფერი მოუგონია, გათხოვებას უპირებს თავის ერთგულ მსახურზე — რაინდ ბახუტაზე, ასე უნდა დაუმტკიცოს ძმისწულს, შენი სიზმრები ჭირვეული ბავშვის აჩემებაა და მეტი არაფერიო.

მეორე კუნძულს კი, როგორც უკვე ვითხარით, თავფარავანი ჰქვია. ამ კუნძულზე ყველაფერი თავის გზით მიდის: დღეები დღეებს მიჰყვებიან, წელიწადის ოთხი დრო ერთმანეთს ცვლის, გლეხი ყანაში მუშაობს, მწყემსი ფარას უდგას, ღარაჯად, მებაღური კი ზღვაში თევზს იჭერს... (პაუზა) მაშ ასე! ჩვენ ვიცით, რომ თავფარავნელი ჰაბუკი აშკარეთის ნაპირთან დაიღუპა... მაგრამ არ ვიცით, როგორ მოხდა ეს...

ზღაპარი მიწისქვეშა მღვიმესავითაა, იქ უჩირაღდნოდ და უთოკოდ ვერ ჩააღწევ. ჩვენი ჩირაღდანი და თოკი ხალხური ბაღადაა. მაშ, ჩავვიდეთ ერთმანეთს ხელი და გავემართოთ იღუმალებით მოცული მღვიმის სიღრმეებისაკენ... აგერ, მთავარიც მობრძანდება!

2. სახიობები.

სასახლის ეზოში ჩაფრები ვარჯიშობენ. მთავარს ბრიყვისთვის ხელი ჩაუკიდია და მოჰყავს. ბრიყვს მისური, ჭინისი შარვალი და მალაქუნსიანი წითელი ფესამელი აცვია, კოვზის აპრეზილფარფლებიანი ქული ახურავს, ნიკაპქვეშ ამოტარებული თასით დამაგრებული.

მთავარი. ყოჩაღ... ყოჩაღ... აბა კიდევ ერთ გამოცანას გეტყვი:

ჰკეცი, ჰკეცი,

ვერ დავკეციე. რა არის?

ბრიყვი. რა უნდა იყოს? ფულია!

მთავარი. ყოჩაღ... აბა, ერთიც ვცადოთ, თუ იმასაც ვერ გამოიცნობ, ცხენს გაჩუქებ...

ბრიყვი. არა მართლა?

მთავარი. ყურადღებით მომისმინე!

მოვიდა თეთრი მოზვერი,

გააგლო შავი მოზვერი.

აბა, ჰკუის კოლოფო, არ შემარცხენია!

ბრიყვი. ეგ ადვილია!

მთავარი. ადვილია და ბრძანე!

ბრიყვი. ორი მოზვერია!

მთავარი. ყოჩაღ, ნიჭიერო, ყოჩაღ... აბა ერთიც და ცხენი შენია!

ერთი პატარა მანანა,

ხან გაიცინებს, ხან არა.

ვინ არი?

ბრიყვი. ვინ არი და ნანო! ცოტა ძნელები მითხარი, ეგ ადვილია.

მთავარი. ახლავე, აზრიანო, ახლავე! მაშ, ძნელი არა?.. ძნელი,

ძნელი... რომელია ძნელი? აბა, გამახსენდა! აბა, მითხარი, რა

უნდა იყოს:

გარეთ ატლასი,

შიგნით ათასი!

ბრიყვი. მაინც ადვილს მეუბნები. რა არი და ქისა!

მთავარი. ბრძენი ხარ, ბრძენი! წამო, წამო, ცხენზე შეგსვა...

(გახელის წინ.) ზოგს ადვილი ჰგონია მეფობა...

გაღიან.

ჩაფრები.

— აჩუ, აჩუ, ცხენო,

— საით გავაჰქენო,

— ალაზანი დიდია.

სიკა. ცოცხლად!

ჩაფრები.

— ალაზანი დიდია,

შიგ ბებერი ჰკილია,

პური მთხოვა, არ მივეცი,

ფეხებზეც არ მკილია!

სიკა (ლიღინებს).

მათრახისა პატრონსა,

ენაცვალე ბატონსა.

მათრახი სანამ გიჭირავს,

ნურაფრისა გეშინია,

ყველა შენი მსახურია,

ყველა შენი ვეზირია.

მათრახისა პატრონსა,

ვთქვათ, ამ ქვეყნად არაფერი გაეგება,

არაფერი არ უშავს,

ყველა ფეხქვეშ გაეგება.

მათრახისა პატრონსა, აბა,

ვენაცვალე ბატონსა, აბა!

მათაბს ატაკუნებს.

— ყველას უნდა, ჩააფარო,
პირზე ხელი აფარო,
მაგარია, ბატონო,
შენი ვირის აბანო.

მთქმელი. მთავარს ორი დიდეზირი ჰყავდა — ასპანი და ოსე.
ამ ორ ბრძენ მოხელეს მზე და მთვარე ერთმანეთზე ამოსლი-
ოლა, განუყრელი მეგობრები იყვნენ.

შემოდან ასპანი და ოსე.

ასპანი. მაინც რა ხდება, რა ამბავია ჩვენს თავს! აგერ ორასი
წლისა გავხდი, ასეთი რამ პირველად მესმის. რას არ იტყვის
ხალხი! ეს დოლაბიანი ბიჭი მაინც საიდანღა გამოტყვრა? ჩვენი
მთავარიც რამ ააჩქარა ასე? ერთი სული აქვს, სანამ მძისწულს
გაათხოვებდეს...

ოსე. ერთიც ვნახოთ და...

ასპანი. არა, არა, შეუძლებელია! ზღვის დოლაბით გადმოცურვა
არ შეიძლება, ეგ მე მკითხე, ორასი წლის კაცი ვარ და სხვა
თუ არაფერი, ჰკუა კი მომეკითხება!

ოსე. არც მე ვარ ნაკლები ხნის, მაგრამ...

ასპანი. ო, რა ეჭვიანი ხარ, ჩემო ძვირფასო მეგობარო ოსე! ნუ
ნუ გეწყინება, მე პირში მთქმელი კაცი ვარ!

ოსე. ხალხი რასაც იტყვის, სრულდება კიდევ!.. ვთქვათ და დატრი-
აღდა ეს კუნძული. არა, ვთქვათ-მეთქი! დავუშვათ...

ასპანი. რაც უნდა მოხდეს, ჩვენ ბოლომდე უნდა შევინარჩუნოთ
ლირსება და ერთგულება!

ოსე. თუ ერთგულება და ღირსება?

ასპანი. რასაკვირველია, ერთგულება და ღირსება!

ოსე. გული მიგრძობს, შენ რაღაც იცი და მიმაღაე!

ასპანი. მე არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რაც გუშინ ვიცოდი და
რაც შენთვისაც დიდხანია ცნობილია!

ოსე. ო, შენი ცხოველმყოფელი გონება ყოველწამს ბალახით
იზრდება...

ასპანი. ბალახით რატომ? ბალახი რამ გავახსენა?

ოსე. ვგულისხმობ მის შეუჩერებელ ლტოლვას სინათლისაკენ, ასე
რომ ის ყოველ წამს თითო სანტიმეტრ სიბრძნეს იმატებს.
ტყუილად კი არ კილია ეგ ნახევარფუთიანი ოქროს ჯაჭვი კი-
სერზე, ჩვენი კუნძულის უმაღლესი ორდენი!

ასპანი. შენ გგონია, იმიტომ ვატარებ, რომ ნახევარი ფუთი ოქ-

როა? არა, ჩემო ძვირფასო ოსე! მე მხოლოდ იმიტომ დავათ-
რეე ამ მძიმე ტვირთს მოუშორებლად, რომ ის ხალხის შრო-
მის ნაყოფია, ხალხის შრომას კი პატივი უნდა სცე. მუდამ
უნდა გრძნობდე, რომ ხალხის სამსახურის უღელი გაღვას.

ოსე. მართალს ამბობ, უძვირფასესო ასპან, აი ეს კვერთხიც მუდამ
ხელთ იმიტომ მიბჰყრია, რომ ხელოსანთა მთელმა ამქარმა ასი
წლის განმავლობაში აკეთა ეს საოცრება, ნახე, რამდენი
შრომაა დახარჯული, ნახე, როგორ არის მოჩუქურთმებული,
რა არ არის ზედ გამოსახული! ზოგს კი ჰგონია, იმიტომ არ
ვიშორებ, ძალაუფლების დაკარგვისა მეშინია. ჰა-ჰა-ჰა-ჰა, რა
სასაცილოა არა, ჩემო ძვირფასო ასპან?

ასპანი. სასაცილოა, ნამდვილად სასაცილოა! ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

ოსე. მაგრამ მე მაინც იქა ვარ: ვთქვათ და დატრიადღა ეს კუნძუ-
ლი, მაშინ? სად უნდა დამალო ეგ შენი ოქროს ჯაჭვი და მე
კი ეს ჩემი კვერთხი?

ასპანი. მე უკვე ვთქვი: რაც უნდა მოხდეს, ჩვენ უნდა შევი-
ნარჩუნოთ ერთგულება და ღირსება!

ოსე. მართალი ხარ, მართალი, შევინარჩუნოთ ერთგულება და
ღირსება!

ასპანი. ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ სიკეთისთვის, მოყვასის-
თვის თავის გასაწირად, კუნძულიც რომ დატრიადღეს, ნაკუ-
დამ კუნძუზე რომ დავვაღებინოს თავი...

ოსე (ნაკუდას ხსენებაზე შეკრთება). აჰ!

ასპანი. დიახ, ჩვენ მაინც უნდა შევინარჩუნოთ ერთგულება და
ღირსება!

ოსე. ერთგულება და ღირსება!...

შემოდის მთავარი ბრიყვთან ერთად.

მთავარი. სიკა, აბა, ჰე! სასიძოები შემოლაღე. (ვეზირებს.) ქალე-
ბი სად არიან?

ასპანი. ახლავე გეახლებიან, მთავარო!

მთავარი. სასიძოებს ხომ კარგად დააზეპირებინეთ სათქმელი?
ხომ არ შეეშლებათ?

ასპანი. არ შეეშლებათ, მთავარო

მთავარი. სიკა, რას უღვებარ?

სიკა გაღის.

ასპანი. მძისწულის გაბედნიერება გადავიწყვეტია, განა მთელმა
ქვეყანამ არ იცის, შვილივით რომ გაგიზრდია და ობლობა არც
კი გიგრძნობინებია! შენისთანა ბიძამ უნდა იღვებრძლოს და

იბედნიეროს ამ ქვეყნად. დიას, მე პირში მთქმელი კაცი ვარ!
მთავარი. კარგი, გეყოფათ, აგე სასიძოებიც მოდიან!

სხვადასხვა მხრიდან შემოდან გოგოები და სასიძოები, გოგოებს ნანო
მოუძღვება, სასიძოებს — სიკა.

მთავარი. როგორა ხარ, შეილო ჩემო?
ნანო.

ეს ჩემი გული ორია,
ერთში წვიმს, ერთში დარია,
ავტირდე — შევეყრი ღრუბლებსა,
გავციენებ და დარია.

მთავარი. იცინე და იცინე. ღმერთმა გაცინოს. მე არ მიყვარს
ცრემლი, ცრემლს ჩვენთან რა უნდა? ხალხო, დიდი სიხარუ-
ლის დღე გავგიჟებდა — სასიძოები გვეწვივნენ, ერთმანეთზე
უკეთესები. მომიხსლოვდი, შეილო ნანო, შენ რომელიც მო-
გეწონება, ის აირჩიე, არავინ გაძალღებს. არ მიყვარს, ქალს
რომ ძალით გაათხოვებენ ხოლმე, ქალმა თვითონ უნდა
აირჩიოს თავისი საბედო. მოდი, ასე დავთქვათ, ესენი თავიანთ
სიტყვას იტყვიან, გაგვეცნობიან, შენ კი, ვისაც ჯამით ღვინოს
მიაწოდებ, ის იქნება შენი რჩეულიც. ოღონდ, უარი აღარ გა-
ვიგო, დღეს უნდა დაეამთავრო ეს საქმე. (სასიძოებს.) აბა, ბი-
ჭებო, თამამად! დაგვენახეთ, გვითხარით, ვინა ხართ, რას
აკეთებთ. თავი გაგვაცანით. აი, მაგალითად, შენ ვინა ხარ, რას
აკეთებ?

I სასიძო. მე, ბატონო, ტყისმცველი გახლავართ.

მთავარი. ო, კარგია, კარგია, ეს ძველისძველი, უაღრესად კმ-
თილშობილური ხელობაა! მაინც რას აკეთებ?

I სასიძო. რას ვაკეთებ, ჩემო ბატონო, და ტყეს ვინახავ ქილებში!
მთავარი. ქილებში? ქილებში რატომ?

I სასიძო. დიას, ბატონო, იმას მოგახსენებდით. არ არსებობს
ქვეყნად ჩემისთანა ერთგული, ფხიზელი, თავდადებული, კმ-
თილსინდისიერი მცველი ბუნების იმ საოცრებისა, რომელ-
საც ჩვენ ტყეს ვეძახით. ო, ტყეს დიდი გაფრთხილება სჭირ-
დება. მოვლა, ყურადღება, შრომა. ჯერ მარტო ხუფებს, ხუ-
ფებს, არ უნდა შოვნა?

მთავარი. აბა, რას ამბობ, სად ტყე და სად ხუფი?

I სასიძო. ქილას მოხუფვა ხომ უნდა!

მთავარი. რომელ ქილას?

I სასიძო. კომპოტის ქილას!

მთავარი. ააა...

I სასიძო. დიას! ახლა ყუთებს არ იკითხავთ? კოლოფებს, სკიე-
რებს, ბოცოებს, ჩანთებს, ბოთლებს, კასრებს, გუდებს. ო,
ტყეს ბევრი რამ სჭირდება! გზაზე ხომ არ დაყრი, ხომ არ გა-
აოხრებ! მთელი სახლი სავსე მაქვს ტყით! თვალის ჩინიეთ
ვეფრთხილდები. ყველაფერი ჩაფენილი, ჩატენილი, ჩავეცი-
ლი, ჩაკეტილი, ჩაუქუქული მაქვს თავთავის ადგილას: მელიის
კულიო, წაბლის ფიცარიო, მაცვლის მურაბაო, დათვის ტყა-
ვიო, ხოხბის ხორციო, მაისის თაფლიო, რა ვიცი, ყველაფერი.
თუ ჩემი ქალბატონი ინებებს, ციყვს მოვეუყვან გალისათვის,
ანდა შვლის ნუკრს სათამაშოდ და მოსაფერებლად. დიდი მოე-
ლა და პატრონობა სჭირდება ტყეს, დიდი! და მეც თავს არ ვი-
ზოგავ, მბრძანებლო!

მთავარი. კარგი, გასაგებია... შენ ვილა ხარ, ბიჭო?

II სასიძო. ჩემისთანა ბიჭი იშვიათია, ბატონო!

მთავარი. რაო, რაო?

II სასიძო. მე ისეთი ხელობის კაცი ვარ, ყველა ჩემს პატარა
ბუნდურგანაში იყრის თავს, ქორჩიანიცა და ქაჩალიც. ქვეყ-
ნის ჭორი თუ მართალი იქ გროვდება. და მე რომ ხალხს ვაქ-
ვირდები, ყველაზე ჰყვიათ მე ვარ მგონი. ასე გამოდის. აი
ავილოთ თუნდაც ნასწავლი, სახელოვანი ხალხი, ბავშვებივით
ყველაფერი სათამაშო ჰგონიათ — საწამლავს ყლაპავენ,
ტყვიას შუბლში იხლიან, ცეცხლში ვარდებიან და იმ თასს, მე
რომ შიგ საპონს ვაქაფებ, თავზე იხურავენ, ჩაჩქანიაო! საქმეა
ეს? მე ხომ ასე არასოდეს მოვიქცევი! ას წელიწადს ვიცოცხ-
ლებ, ას წელიწადს!

მაკრატელის ჩხაკუნია
ჩემი ტკბილი მელოდია,
ზოგს თუ კეთა უპრიალებს,
ზოგი გულით მელოტია.
თასში საპონს ავაქაფებ,
ჩამოვუსვამ ტყავზე დანას,
თუ სასიძოს მართლა ეძებთ,
ბიჭს ვერ ნახავთ ჩემისთანას.

მთავარი. ყოჩაღ... ყოჩაღ... აბა, ერთი ეგ გამოიყვანეთ, სხვების
ზურგს უკან რომ იძალღება. შენ ეი, ხო, ხო, შენ გეუბნები. შენ
ვილა ხარ?

III სასიძო. მე არავინ არა ვარ, ბატონო.

მთავარი. როგორ თუ არავინ არა ხარ, რა ჰქვია მაინც შენს ხელობას?

III სასიძო. მეტყვიან, აღექიო, ვლგები, მეტყვიან, დაჭექიო, ვჯღები.

მთავარი. ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ მაინც რა ხელობისა ხარ, რა საქმე იცი?

III სასიძო. რა ვიცი და თავის დროზე გაჩუმება ვიცი. შენ ხარ ჩემი ბატონი, შემოდლია სულ ჩუმაღ ვიყო. თევზისა არ იყო, სათქმელი ბევრია, მაგრამ პირი ლიმონათითა მაქვს სავესე.

მთავარი. თევზს პირი ლიმონათით კი არა, წყლითა აქვს სავესე, ეგვეც არ გცოდნია!

III სასიძო. მერე მე თევზი ვარ? იმდენი შეძლება კი მაქვს, დღეში ერთი ბოთლი ლიმონათი პირში ჩავიგუბო, წყლის მაგვირად...

მთავარი. ყოჩაღ ძმაო, შენ ყოფილხარ, კაცი! (ვეზირებს.) ერთი გამაგებინეთ, რა ჰქვია ამ კაცის ხელობას?

ასპანი და ოსე. არაფერი. ჰქვიათ და ეგ არის!

მთავარი. ყოჩაღ, ყოჩაღ...

IV სასიძო. მე ბატონო, არც ჰქვიათ ვარ და არც შტერი, არც დალაქი ვარ და არც ტყისმცველი, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩემს ხელობას ვერც ერთი ვერ შეედრება: ისეთ სახლს ავაშენებ, არც ქვა ექნება, არც აფური, არც სილა, არც კირი, არც ცემენტი, არც ფიცარი, არც მინა... ისეთ გზას გავიყვან, არც ქვაფენილი ექნება, არც ტროტუარი, არც წყალსადენი... ისეთ ქადას გამოვაცხოვ, არც კვერცხი ექნება, არც კარაქი, არც შაქარი... არავითარი ჯადოქრობა, მხოლოდ ხელის სიმარადე! აბა, შეხედეთ, ხელში არაფერი მიჭირავს! დააკვირდით, დააკვირდით! ალე ჰოპ, და აი კვერცხი! ამ კვერცხს არც ცილა აქვს, არც გული, არც ნაჭუჭი... (კვერცხს მიართმევს ნანოს.)

სასიძოები.

სად მოიცალა იმ ღმერთმა შენი თვალ-წარბის წერადა, აილო ხელში კალამი, დაგხატა ათასფერადა. გამზადებულხარ ჩიტვიით ლაქვარდში ასაფრენადა. ან შენს ფრთას გამოვებმეები, ანდა შეედგები ბერადა.

ნანო (ეტყობა ამ ამბავზე გამახიარულა).

ბევრსა ჰკლავს ბევრის სურვილი, მაგრამ გაგება სად არი?

I სასიძო.

ქვეყანა შემოვიარე, ვერ ვნახე შენი საღარი!

ნანო.

მინდორში ერთი ქვა გდია, ქარვა არის თუ გიშერი?

II სასიძო.

ჩემი დაპრილი გულია, მინდორში გდია შიშველი.

ნანო.

ცაში ვარსკვლავი კიაფობს, რას ნიშნავს მისი კიაფი?

III სასიძო.

ეს ჩემი ცრემლის წვეთია, იმ ვარსკვლავით იაფი.

ნანო.

წუხელ მხედარი მესიზმრა, მიმინო ეჭდა ცერზედა.

IV სასიძო.

თვალი მიჭირავს შენზედა, როგორც მიმინოს მწყერზედა.

ნანო. მეცინება...

მთავარი. რაო, მეცინებაო?

ნანო. ხო, მეცინება...

მთავარი. კარგი შაირობა გცოდნია! იშაირე, რატომ გაჩუმდი?

ნანო. მეცინება და რა ვქნა?....

მთავარი. რა უნდა ქნა და საქმრო აირჩიო!

ნანო. მე რომ არც ერთი არ მიყვარს?

მთავარი. კი მაგრამ, რატომ უნდა გიყვარდეს? საკვირველია, საკვირველია, ღმერთმანი. ესენი დღეს პირველად ნახე, როდის უნდა შეგყვარებოდა? დაუფიქრდი, შვილო, რას ამბობ! სიყვარული მერე მოვა, ერთმანეთს როცა გაიცნობთ... მოკლედ, გადაწყვიტე თორემ...

ნანო. თორემ რა?

მთავარი. დღეს უნდა გაგათხოვო, ასე გადაწყვიტე. ჩემი სიტყ-

ვა კანონია, დამიჯერე, მე უკეთესად ვიცი...
ასპანი და ოსე.

შენი სიტყვა კანონია,
არ სჭირდება ფიცი,
ჩვენ რა გვიღონს,
ჩვენ რა გვიჭირს,
ჩვენზე უკეთ იცი!

მთავარი. დაიცა, დაიცა! (მერიქიფხეს.) მოიტა ეგ ჯამი აქა!
(ნანოს.) აჰა, შვილო, გამომართვი ეს ჯამი. ვისაც მიაწოდებ, ის
იქნება შენი რჩეული. აჰა, გამომართვი!

ნანო ჯამს ღიმილით ჩამოართმევს.

ნანო. კარგი, ეგრე იყოს.

მთქმელი.

თავფარავნელი ჭაბუკი
აშკარეთს ქალსა ჰყვარობდა...

ნანო (მთქმელს). მახსოვს, მახსოვს! არ დამვიწყებია! არ მინდა გა-
ხსენება!

ჰიშკარზე ჯოხით აკაკუნებენ.

მეორე მთქმელი

4. მესტვირე.

იგივე სენა.

მთქმელი.

თავფარავნელი ჭაბუკი
აშკარეთს ქალსა ჰყვარობდა...

ნანო (მთქმელს). მახსოვს, მახსოვს! არ დამვიწყებია! არ მინდა გა-
ხსენება!

ჰიშკარზე ჯოხით აკაკუნებენ.

მთავარი. სიკა, გახედე, ვინ მოვიდა!

სიკა (უხვირის). ღიაა, ღია, შემოდი!

ეზოში მოხუცი მესტვირე შემოდის.

მესტვირე.

ელასა მელასა,
ჰიქა მევიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელსა
ჯვარი გვერდია ყველასა.

I ჩაფარი. ე, რამოდენა წვერი აქვს, ბიჭებო!

II ჩაფარი. თხა უზის უბეში, თხა!

III ჩაფარი. ეგ თხა კი არა, სტვირის გულაა, შე სულელი!

II ჩაფარი. სტვირის გულა კი არა, მთხლე!

III ჩაფარი. ბაბუა, აბა ჩაბერე სტვირს!

II ჩაფარი. ბეეე, ბეეე!

I ჩაფარი. ეი, შენ გეუბნებიან, იმლერეო!

სიკა. შაურს მოგცემ, ბიჭო, იცოდე შაურიც ბევრია!

მესტვირე. რად მინდა შენი შაური!

სიკა. რატომ, ბიჭო?

მესტვირე. ქუსლზე დაიკარი, ვირის ნალივით ბრტყელია!

ოსე. ვინ არის, სიკა, ეგ კაცი, რას ელაზღანდარავები?

სიკა. მე რა ვიცი რა! მესტვირე ვარო, ამბობს!

ოსე. რაღა ღროს მესტვირეა, ეგენი ხომ გადაშენდნენ!

ასპანი. ჩემს პატარა ბიჭობაში ერთი მესტვირე მოვიდა ჩვენთან.

დღედაღემა არაყი და თხილი გამოუტანა. ერთი კვირა სიმღერით
ყვებოდა რალაცას, თხილიც გავგითავა და არაყიც. ამბავი
რომ დაემთავრებინა, მეზობლებში გამგზავნეს სასესხებლად.
იმასაც ასეთი წვერი ჰქონდა...

ოსე. ეს კაცი თუ მართლა მესტვირეა, რატომ არ მღერის? ამასაც
არაყი და თხილი ხომ არ გამოუტანოთ?

გოგობი. რა ემღერება, ვერ ხედავთ, ძლივსა დგას ფეხზე!

ოსე. ფეხზე თუ ძლივს იდგა, აქ რას მოდიოდა! ვინ დაპატიჟა! აბა,

ბაბუა, გვითხარი, ვინა ხარ, რა გინდა, რისთვის მოსულხარ?

სიკა (მესტვირეს მათრახის ტარს წაჰკრავს ვერდში). უპასუხე,
თორემ მოვიდა მათრახი!

მესტვირე.

თქვენ დიდი ბატონი.

მე პატარა შინაყმა,

თქვენ ძილი და მოსვენება,

მე ზღაპრისა მოხსენება.

ჩიტი. ტყუილია, ტყუილია,

ეგ მესტვირე არ არის!

მთავარი. სიკა!

სიკა. აქ ვარ, ბატონო!

მთავარი. ეგ ჩიტი დაიჭირე და გალიაში ჩასვი!

სიკა. ახლავე, ბატონო!

ჩიტი. მთავარს ჩიტის შეეშინდა,

მთავარს ჩიტის შეეშინდა!

მთავარი. სიკა!
სიკა. მომყევით!

სიკა და ჩაფრები ჩიტს გამოუდგებიან.

ჩ ი ტ ი (დაფრინავს). სიკა, სიკა, ჰაი სიკა, ჩემს დევნას ის გირჩევნია დედაშენთან გაფრინდე, დედაშენთან გაფრინდე, დედაშენთან გაფრინდე!

ს ი კ ა. დამაცადე, თუ დაგიპირე, მე ვიცი, ცოცხალი უნდა გაგბუტო, ცოცხალი!

ჩ ი ტ ი. არ გრცხვენია, მე რომ დამდეგ, შენც ხომ ჩიტი იყავი, შენც ხომ ჩიტი იყავი!

ს ი კ ა. საითათოდ უნდა გაგაცალო ბუმბული, საითათოდ!
მთავარი (მესტივრებს). კარგ დროს კი მოხვედი, ძია კაცო, სწორედ რომ სასიმღეროდ გვაქვს საქმე. ხოდა, ნუ დაგვზარდები, მოხსენი მაგ გუდას თავი. ერთი ქალამანი ჩემზე იყოს!

მ ე ს ტ ვ ი რ ე (მ ლ ე რ ი ს).
ეს გულა, ჩემო ბატონო,
არის ოცნების ქისა,
რასაც შიგ ჩაპყრის უფალი,
უკან იმასვე ყრისა.

ა ს პ ა ნ ი. რაო რა არისო?

ო ს ე. თხილიაო!

ა ს პ ა ნ ი. კარგი ერთი! ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

ჩ ი ტ ი (დაფრინავს). ეგ მესტივირე არ არის!
ეგ მესტივირე არ არის!

მთავარი. სიკა, ჩიტი მომამორე, თორემ შენც ჩიტივით სარზე ჩამოგასკუპებ.

ს ი კ ა (ჩიტს დაუჩოქებს). ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!

ჩ ი ტ ი. რაო, ბატონო სიკაო?

ს ი კ ა. ნუ დამლუპავ, ჩიტო, დამაპყრინე თავი, ფრთებს ოქროს მაკრატლით დავაპყრი, ნისკარტს ოქროს ნემსით ამოგიკემსავ, ოქროს გალიაში ჩავსვამ, რა გინდა მეტი, შენც მოისვენებ და მეცა!

ჩ ი ტ ი. ვერ მივართვი სიკასა,
თავი უგავს ქიქასა!
სიკა, სიკა, აღარ გახსოვს, შენც ხომ დაფრინავდი, დაფრინავდი! დაგავიწყდა, სიკა? დაგავიწყდა? არ მოგებზრდა ჩაფრობა? მოდი, ერთად ვიფრინოთ!

ს ი კ ა.

უი, დედასა, დედასა!
თუ ხელში ჩამივარდები,
გაჩვენებ ერთად ფრენასა!

მ ე ს ტ ვ ი რ ე (მ ლ ე რ ი ს).

ეს გულა, ჩემო ბატონო,
სულია თეთრი თხისა,
სოფელში დამყავს კივინით,
როგორც თიკანი ღვთისა.
ზოგს ქებას ეტყვის, ზოგიერთს
ქე გაუბედავს ძვირსა,
ბატონსაც ჰკადრებს ხუმრობას,
ის თუკი დააცლისა..

მთავარი (სიცილით). დააცლის, დააცლის, თქვი!

მ ე ს ტ ვ ი რ ე (მ ლ ე რ ი ს).

ბატონსა ერთი ქალი ჰყავს,
მთელი ქვეყნისა თვალია,
მაგრამ აქამდე ვერ იქნა,
ვერ მოუძებნა ქმარია.
აქეთ ბატონის ჯარი დგას,
იქით ის ერთი ქალია,
დალაქი სიძედ უნდოდეთ,
ეს რა იმ ქალის ბრაღია...

ყველანი იცინიან.

მთავარი (სიცილით). ვერ უყურებ ამ წვერცანცარასა! იქით ეს ერთი ქალიაო... ვერ უყურებ ამასა? სიკა!

ს ი კ ა. ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო...

მთავარი. ჩიტო ჩიორაო კი არა, აი ეს ჩენი დაუპატიჟებელი სტუმარი აი, იმ ბოძზე მაგრად მიაბი და შოლტიც ფეხებში ერთი ორჯერ მაგრად გაუტლაშუნე! აბა, ჰე! სწრაფად! აქეთ ბატონის ჯარი დგასო. მე შენ გაჩვენებ ბატონის ჯარსა, დამაცადე...

ს ი კ ა (მესტივრებს ბოძზე აბაშს). აკი ვირის ნალოო, ესაო, ისაო, შაურის მაგივრად მათრახიც გამომტყუე. არა, მათრახი კი არა — შოლტი, ეს მათრახი აქაურებისთვისაა, შინაურებისათვის. სტუმრებისთვისა კიდე ცალკე შოლტი გვაქვს (ჩაფარს) — ვირო, შოლტი მომამოლე!

ჩაფარი აწვდის შოლტს.

მთავარი. აბა, სიკა, შენ იცი!
ხალხი. მიდი, სიკა, მიდი!
ნანო. დაიცადეთ!
გოგოები. ცოლო, ცოლო!
ოსე. რაღას უცდი, სიკა, ნუ მომკალი!
სიკა. ეს ერთი! ესეც ორი! როგორია?
მესტვირე. უი, უი, მოგკვდი!

ბრიყვი მივა სიკასთან და შოლტს გამოართმევს.

ბრიყვი. ერთი მეც დამარტყმევინეთ, ხალხო, ამასაც ჭკუა ხომ არ უნდა?!

მთავარი. მიდი, ნიჭიერო, მიდი!
ბრიყვი (შოლტს მოიჭნევს, იღიმება.) რა იოლი ყოფილა!
ოსე. ეს ბიჭი შორს წავა!

მთავარი. კარგი, ეყოფა, ხელში არ ჩაგაკვდეთ!
ჩიტი. ერთი შეხედეთ ბატონსა,
კეთილი გულის პატრონსა!

მთავარი. სიკა!
სიკა. რა გქნა, ჩემო ბატონო, ვერ დაევიჭირე ეგ ოხერი. წავალ, მე თვითონ დავჭლები იმ სარზედა, როგორ ვსდიო, ეგ ცაშია, მე მიწაზე... მე დავდივარ, ეგ დაფრინავს... (თითით მერიქიფვს მოიხმობს, ღვინოს დაახმევენებს.) გაავსე, გაავსე, შე ბრუტონო შენა! (ჯამს დასცლის.)

ასპანი. ასე როგორ შეიძლება, სიკა! ღვინოს სადღეგრძელო უყვარს. გვითხარი რამე, ამოიღგი ენა.

სიკა. ეს ღვინო მენა,
ეს ჯამი თქვენა!

ოსე. მაგარი უზრდელია ეს ჩვენი სიკა!
მთავარი. ამ ჩვენს მესტვირეს შოლტი კი არა, დალაქი სჭირდება, გაბურძნულა ჩვენი მეეზოვის ცოცხივითა. დალაქი სიძედ უნდოდეთ... ეს რა მითხრა, კაცო! სიკა, აბა, ერთი დალაქი მომიყვანე აქა, ვნახოთ, რა ამის დასაციინია დალაქობა. ერთი პირწმინდად უნდა გავაპარსინო შენი თავი, იარე მერე ჩინური მამალივით და იმღერე, რამდენიც მოგინდება...

სიკას მოჰყავს სასიძო დალაქი, რომელსაც სამართებელი უჭირავს.

(დალაქს) გაიგე, შენზე რა თქვა?

დალაქი. გავიგე, შენი ჭირიმე!
მთავარი. ჯერ ცალი წვერი გაპარსე, ვნახოთ მოუხდება თუ არა.

დალაქი. საპონი ავაქაფო, თუ უსაპნოდ აჯობებს, ჰა?
მესტვირე. შენ რა, გაგაფიდი? მართლა ხომ არ მიპირებ გაპარსვას?

დალაქი. გიპირებ კი არა, გაგპარსე და ეს არის. შენ კი არა, ტყიდან გამოვარდნილი დათვი გაგპარსე ერთხელ სანაძლეს გულისთვის, აბა!

მესტვირე. დაიცა, მათქმევინე, დაიცა, რეტიანო! მეც ხომ დათვი არა ვარ, ადამიანი ვარ. ამოდენა ხნის მოვიყარე, ჯერ ჩემთვის წვერზე ხელი არავის წაუვლია. ბაბუად გეკუთვნი, არ გრცხვენია?

დალაქი. როცა დამცინოდი, მაშინ კარგი იყო? მაშინ შენი შვილიშვილი არ ვიყავი? ბაბუაო... ხოდა, ბაბუაჩემო, ერთა წუთის საქმეა, აღარც გემანსოვრება, წვერი გქონდა თუ არა, გაქრება, როგორც შარშანდელი თოვლი.

მესტვირე. დაიცა, კაცო, რასა შერები! ხალხო, მართლა გაპარსვას მიპირებს ეს დასაბმელი ესა, ეს ნადირი ესა, მიშველეთ, მიშველეთ, მიშველეთ! მიშველეთ, დილა ბატონო, ვიხუმრე, აკი მიბრძანეთ, სთქვიო და მეც იმიტომ გავებდე. აქ სად შემოგვდი, ნეტავი ფეხი მომტეხოდა!

მერიქიფე (მღერის).

ცივია და ცივია,
ახალმოტანილია,
მარგალიტის მძივია,
ბაგესავით ტკბილია.

მესტვირე. ღვინო, ღვინო, მაინც დამალევიანეთ გაპარსვის წინ ეს ბოლო თხოვნა მაინც ამისრულეთ!

მთავარი. შენ მართლა რა ბნელი კაცი ყოფილხარ. გაპარსავენ, ხომ არ გქლავენ?

მესტვირე. ჩემთვის ეგ ერთი და იგივეა. ხალხში როგორღა გამოგჩნდეთ?!

მთავარი (მერიქიფეს). მოდი აქ, ბიჭიკო, აბა, დამისხი, ვნახოთ, რა ღვინოს სვამენ ჩემი კარისკაცები.

მერიქიფე უხსებს ჯამს, მთავარი სვენებ-სვენებით სვამს.

კარგია... მართლაც, კარგი ყოფილა... წყაროში ჩააცვიეთ?

მერიქიფე. დიახ, ბატონო.

მთავარი. ყოჩაღ, ყოჩაღ...

მესტვირე. ერთი ყლუბი მეც დამალევიანეთ, მოგკვდი კაცი!

მთავარი მერიქიფეს ჯამს უბრუნებს.

მთავარი. მოდი, ახლა იცი ვის დავაღვივებო! ჩემს კვიციანსა და ნიკიერ ბიჭუნასა!

ბრიყვი. არა მართლა? (სვამს ღვინოს.) ცხენსაც დავაღვივებო?

მთავარი. დაღვივებ, ეგეც შენსავით კვიციანია!

მესტერი. ცხენს ასმევთ და მე არა? დამაღვივებთ, დავიღვრები!

მთავარი. არა, ჯერ შენ პირი უნდა გაიპარსო. მაგ ცხენს ფაფარიც

კოხტად დავარცხნილი აქვს და კუდიც დაწული. ახლა შენ

ჩემი დალაქი გაგლამაზებს და მერე ღვინოსაც დავაღვივებ

და ყაურმასაც მოგართმევთ, მანამდე კი ტყუილად ელოდები,

ღვინოს ვერ ეღირსები, სანამ პირს არ გაიპარსავ. ჩემი სიტყვა

კანონია!

მესტერი. ბებერი ვარ, შვილო, შემობრალე. დილიდან გზაზე

ვდგავარ, მუხლები ჩემი არ არის, ეპ, თქვენ მოიყარეთ ჩემი

ხნისა!

ნანო ჯამს, აქამდე რომ ხელში ეჭირა, მერიქიფეს გაუწვიდს.

ნანო. დამისხი!

მერიქიფე უსებს ჯამს, ნანო მესტერისაკენ მიდის, ორივე ხელით გააპინებუ-
ლი ჯამი უჭირავს, ხალხი დაიძაბება, ყველა ნანოს შესცქერის.

მთავარი. ნანო, გოგო, ეგ ღვინო ვისთან მიგაქვს?

გოგოები. შეჩერდი, ჩვენო ლამაზო დობილო, გემულარებით,

შეჩერდი!

მთავარი. იქნებ ვერ გაიგე, მე რა ვებრძანე?

ასპანი და ოსე. შეჩერდიო, პატარა ქალბატონო!

მთავარი. არ გესმის?

ნანო მესტერისთან მივა, ჯამს პირთან მიუტანს.

ნანო. აპა, დალიე!

მესტერი (ცოტა ხნის დუმის შემდეგ). არა, ქალბატონო...

ნანო. რატომ? ხომ გწყურია?

მესტერი. მთავარი გაგიწყურება.

ნანო. ნუ გეშინია (ჩურჩულით). ხომ გითხარი, მესტერიედი გადა-

ცმული მოხვალ-მეთქი! (ხამალა.) დალიე, დალიე, ბაბუა, ნუ

გეშინია! (დალაქს დაუტატანებს.) დაიკარგე აქედან, შე და-

თვების დალაქო, შენა! (მესტერის ასმევს ღვინოს.)

მთავარი. ჩემი სიტყვა არაფრად ჩააგდე, არა? ეგეც ბოძე მი-

ბით, გვერდით ამოუყენეთ მაგ მესტერიესა!

ადგილიდან არაფერ იჭერს.

(უვირის.) დაურუვდი, სიკა!

სიკა. ახლავე, ბატონო, ახლავე!

ნანოს მეორე ბოძე შიბამს, მესტერის ახლოს.

ნანო (ჩურჩულით). გამარჯობა, აფრავ!

მესტერი (ჩუმად). გამარჯობა, ნანო!

ნანო. მე ხომ გითხარი, ასე არაფერ გაგატანს ჩემს თავს-მეთქი...

მესტერი. ერთიც ვნახოთ და გამატანეს, გამოიყვები?

ნანო. გამოიყვები, მაშ რას ვიზამ!

მესტერი. შემომფიცე!

ნანო. შენ ცხადშიაც ისეთი ყოფილხარ, როგორც სიზმარში. აპა,

კიდევ ერთხელაც შემოგფიცავ. გეფიცები, სადაც არ უნდა

წამიყვანო, გამოიყვები! (ღიმილით.) კარგი ღვინო იყო?

მესტერი. ეგეთი ღვინო ჩემს დღეში არ დამიღვია!

მთავარი. მე ხომ ვთქვი, ჯერ პირი უნდა გაიპარსოს და ღვინოს

მერე დავაღვივებ-მეთქი. იქნებ გგონია, ჩემი სიტყვა მარტო

სხვისთვისაა კანონი? ამას კი ვერ გაპატებ, იცოდე.

ნანო. განა მე პატებასა ვთხოვ?

მთავარი. პატებასაც არა მთხოვ?

ნანო. კაცს აწვალდნენ და ისე ვმდგარიყავი?

მთავარი. მითხარი, მაპატიე-თქო და გაპატებ. ათასი საქმე

მაქვს... თხა დასაჭედია, კატას ყეფა უნდა ვასწავლო, ვირს სა-

ყვირზე დაკვრა. მითხარი მაპატიე-თქო.

ნანო. კაცს აწვალდნენ და...

მთავარი. აპა, ვნახოთ, მთხოვ თუ არა პატებას! (ტავს შემო-

ჰკრავს.) ჯალათს დაუძახეთ! ვნახოთ ერთი, ვნახოთ...

ჩაფრები. ნაკულა, ნაკულა, ბიჭო, ბატონი გეძახის!

მთავარი. ვნახოთ, თუ არ შემეხვეწები! პა, სად არის ჯალათი!

ჩაფრები. ნაკულა, ნაკულა, გამოეთუე კაცო!

ნაკულა. ხო ნაკულა მქვია, აპა, მოვედი! რა გნებავდათ? თქვენმა

მუხმ, ვითომ გულით მეძახით! არაა, ძმავ, არ მინდა! მე თქვენი

გულისთვის კანიდან ვჭრები, წელზე ფეხს ვიდგამ, თქვენ

კი... უმადურობა მინახავს და ასეთი? დედაჩემს თერთმეტი

შვილი ვყავდით, თერთმეტივე სხვადანსვა კმრისაგან, კნუტები-

ვით გვიყვარდა ერთმანეთი, რა წვლებით გავცხარდა საწყალ-

მა, სანამ გზაზე არ დავაყენა, სანამ ხელობა არ შეგვასწავლა,

ხალხში არ გამოგვიყვანა, თავი არ გაუნებებია. თერთმეტივე

ერთი საქმე ვისწავლეთ. ხოდა, დღეს არავიზე ნაკლები არა

ვართ და ვერც ლუქმას დავაყვედრებს ვინმე. პირველად ტყა-

ვის წინსაფარი რომ ავიფარე, კუნძთან მივედი და ცული აღ-

ვმართე, საწყალმა დედაჩემმა სიხარულისგან იტირა, ზოგს ადვილი ჰგონია ჩვენი ხელობა — ტაკ-ტუკ და გათავდა, ჯერ მარტო ისა თქვი, მთელი დღე ჩარხთან რომ უნდა იდგე და ცული ლესო. ბატონმა მითხრა, თავის მოჭრის დროს ვინმეს ცოტათი მაინც რომ ატყინო რაზე, ვაი შენი ბრალოო. კეთილია ჩვენი ბატონი და მეც კეთილი ვარ, ჩარხთან ვდგავარ და ვლესავ, ვლესავ და ვლესავ, რაც უფრო გალესილი იქნება ცული, მით უფრო არ ეტკინება კაცს კისერი. ნაპერწკლებით თვალეში ამომწვარი მქვს, ახლადახალი წინასაფარიც მაგას შევწირე. მერე რა, რად მინდა, ვინ ვიფასებ? დამიძახებენ თუ არა, ისეთი ამბავი ატყდება, ისეთი წიოკობა, თითქოს მათი მეგობარი კი არა, მტერი მოვდიოდე. ზოგს არც უნდა წამომყვეს, იმალება. უნდა დაიბირო და ძალით წაათრიო, იმაზე კი არ ფიქრობს, იქნებ არც მე ვარ მისი თრევის გუნებაზე, იქნებ მეზარება. ის კი ხის ფესვებს ეჭიდება, ქვებს, ხავსს, რა ვიცო, რაც ხელში მოხვდება, ის კი არ იცის, სულელმა, რომ ვერაფერს გაიგებს. არა, ნამდვილად არ მესმის ამ ხალხისა! კბილის ექიმი კბილს უბურღავს, გაზით აგლეჯს, ღრძილებს უჭრის და მაინც მაღლობას ეუბნებიან, მაღლობას კა არა, ფულსაც უკუშპვენ ჯიბეში, მე კი, იმას ვცდილობ, ბეწვი არ შევუტრხიო თავზე და მაინც ყველა უმადური მყავს, ახლა კი, ნაკულა, გამოეტიეო. აჰა, გამოეტიე, რა გნებავეთ?

მთავარი. ნანო, გესმის, რას ლაპარაკობს ჩვენი ნაკულა?

ნანო არ პასუხობს.

ჩვენ ხომ დავთქვით, ვისაც ღვინოს მიაწოდებდი, იმის ცოლიც გახლებოდი?

ნანო. ხო, დავთქვით!

მთავარი. მერე? ავერ აღმასივით ბიჭები დგანან, იმათ ზედაც არ უყურებ და ამ მათხოვარს კი ღვინოს აწვდი, შენ რა, ჩემს სიტყვას მასხარად იგდებ? ან იქნებ ფიქრობ, ამას გაგაყოლებ ცოლად?

ნანო. გავყვები კიდეც!

მთავარი. ისე კი ახი იქნება შენზე! ან იქნებ გგონია, ვინმე შეგიტოვებს?

ნანო. რა მჭირს შესაცოლი?

მთავარი. შენ მჭირს შესაცოლი, თუ გჭირს! ბავშვობაში მურაბის ქილას რომ გატეხდი, მოახლე იწყებულებოდა შენს მაგიერად, ახლა კი დიდი ხარ უკვე, შენ უნდა აგო პასუხი. იქნება

ფიქრობ, ერთი კაცი მაინც გამოჩნდება ამდენ ხალხში, ვინც წინ გადამიდგება, ნაკულას ხელს დაუჭერს და იტყვის, მე მომკალი მაგის მაგიერადო. ყველა თავის ტყავს უფრთხილდება. დოლაბები და სხვისთვის თავის გაწირვა მარტო სიზმარშია ადვილი....

ნანო. არა მჭერა!

მთავარი. არა გჯერა? კარგი. ბარემ დაგაჯერებ და ისე დაგსჯი. აბა, ვნახოთ ყველანი აქ არა ვართ? აი, ჩემო საყვარელო, ვეზირო ოსე, შენ მითხარი, რა ვუყოთ ამ გოგოს, ვაპატიოთ?

ოსე. უნდა ვაპატიოთ, მთავარო, ჩვენი ნანო!

მთავარი. კი მაგრამ, ჩემს სიტყვას რომ გადავიდა?

ოსე. ბავშვობით მოუვიდა, ბატონო. შეთამამებულია თქვენთან, თქვენს ხელშია გაზრდილი.

მთავარი. მაშ, ვაპატიოთ, არა?

ოსე. უნდა ვაპატიოთ, ბატონო!

მთავარი. შენ იცი, როგორ დიდ პატივს ვცემ მე შენს სიტყვას...

ოსე. გმადლობთ, ბატონო.

მთავარი. მაგრამ ვილაც ხომ უნდა დაისაჯოს?

ოსე. ძიძა აქ არ არის? ავი საქმე ბავშვს კი არ მოეკითხება, არა-მედ გამზრდელს.

მთავარი. ვანა შენც არ ასწავლიდი, ოსე, ჩემს ძმისწულს?

ოსე. ეჰ, მე რას ვასწავლიდი, პეპლების ჭერასა და გალობას...

მთავარი. ამბობდი, შვილის შვილის შვილივით მიყვარსო...

ოსე. ვამბობდი და ვიმეორებ კიდეც! ახლა უფრო მიყვარს!

მთავარი. ხოლად, თუ გიყვარს, რაღა შორს წავიდეთ, მოდი, შენ იქისრე ნანოს დანაშაული და დავამთავროთ ეს საქმეც! მართლაც, ბავშვს ხომ არ დავსჯით? ყოჩაღ, ოსე, ყოჩაღ. ტყუილად არ მქონია შენი იმედი. მგონი, მართალი ყოფილა ეს გოგო, მართლა ყოფილა ამ ქვეყნად კეთილშობილება, აღამოანობა, სიკეთე, სხვისთვის თავის გაწირვა. იქნებ დოლაბიც მართალი იყოს, ჰა? ოსე, ოსე, მგონი, შენმა თავდადებას საბოლოოდ გამიხადოს საქმე!

ოსე. რაო? რას ბრძანებთ, ბატონო? მე რას მერჩით, ერთგული სამსახურისთვის ასე მაჭილდოვებთ? თუ კარგია, სხვამ დაიბრალოს, რაღა მე ამომირჩიეთ. წვრილ-შვილის პატრონი ვარ. შევცდი, ვიფიქრე, ასე რომ ვუპასუხებ, ესია მოვინებ-მეთქი. ამ ერთ შეცდომას ხომ არ უნდა გადამაყოლოთ?

ასპანო. რა იყო, ოსე, როგორ იქცევი?

ოსე. ასპან, არ გესმის, ვილუბები!

ასპანი. რამ წაგახდინა, ვაჟკაცი არა ხარ? საამაყოც კია ასეთი სიკვდილი, ახალგაზრდობას კარგად დაამახსოვრდები!

ოსე. შენ დამახსოვრდი, თუ კარგია!
ასპანი. კარგი, გეყოფა, შენ არა თქვი, რაც უნდა დაგვემართოს, ერთგულება და ღირსება შევინარჩუნოთო?

ოსე. რა დროს ღირსებაა, რას მიედ-მოედები? რატომ შენ არა წი-რავ თავს, შენა არა თქვი, პირში მთქმელი კაცი ვარო?

ასპანი. ვთქვი და სიამაყით ვიმეორებ კიდეც. აი შენ კი ჩუმჩუმ-მელა და ყურში მთქმელი ხარ!

ოსე. ო, შე, გველაძეა შენა, ყურში მთქმელი იმიტომ ვარ, რომ ყურიდან ესმის ადამიანს და არა პირიდან! შენ მიაწოდებდი ღვინოს, შენ ხომ ყველას ჩუმ-ჩუმად რაღაცას ჩუქნი, ყველა რომ მაღლიერი გყავდეს და ერთ მშვენიერ დღეს პანდური არა გკრან ანდა მაგ ნახევარ ფუთიანი ოქროს ჯაჭვით ძილში არ მოგახრჩონ, იმდენი ცოდვა გადევს კისერზე... შენ მიაწო-დებდი ნამდვილად ღვინოს, ამ პატარა გოგოს კი აბრალებ. როგორ არა გრცხვენია!

ასპანი. რას ამბობს, ბატონო, რას? ასი წლის კაცი ვარ და მაგის-თანა გაქნილი მელაკულა არ მინახავს. თქვენ რომ კვერთხი უბოძეთ, მას მერე აშენდა, თქვენი წილიც შინ მიაქვს.

ოსე. ასი წლისა კი არა, ორასისა ხარ! აწი რომც მოკვდე, არაფერი უჭირს!..

ასპანი. დედას გეფიცებით, ასი წლისა ვარ, ახლა მინდა სიცოცხ-ლე, იმედებით ვარ სავსე, ჯან-ღონით...

ოსე. იკლებს, ბატონო, იკლებს! დედას რომ იფიცებს, მაგან დედას ყურში მარბილი ჩააყარა და მოკლა...

ასპანი. ო, შე გველო, შენა!

წვერში მიწვდება, ოსე კვერთხს აღმართავს.

ოსე. ხელი გამიშვი, შე უწმინდურო, თორემ გაგიხეებთ თავი!

მთავარი. გესმის, ნანო? ხედავ? აი, რას გეუბნებოდი?

ნანო. მაგათ რას ერჩი? ღვინო მე დავალევივინე!

ასპანი და ოსე. მე დავალევივინე! მე დავალევივინე! აბა, გაი-მეორე, კულრაჭავ, აბა, გაავონე ბიძას შენი ტკბილი ხმა!

ნანო. მე დავალევივინე! მე დავალევივინე!

ასპანი და ოსე. ეგ იყო, ეგ, სხვა ვინ გაბედავდა!

მთავარი. ეპ, ადამიანობა მძიმე ტვირთია, შვილო. ზოგი ამ ტვირთს ვირს ჰკიდებს და თვითონ კია არხეინად. ნაკულა, ნა-კულა, დამნაშავეს ვერ ვპოულობთ, რა ვქნათ, ბიჭო?

ნაკულა. დამნაშავეს პოვნას რა უნდა? ჩემთვის სულერთია, ვინც იქნება.

მთავარი. ხოდა, თუ სულერთია, აბა, ერთი სიკას დამიძახეთ.

სიკა კი ამ დროს ისევ ჩიტს დასდევს.

ასპანი. სიკა, სიკა, მთავარი გეძახის!

ოსე. სიკა, აქეთ მობრძანდიო!

ასპანი. სიკა, დაყრუვდი, კაცო?!
ოსე (მთავარს ჩუმად). მეონი, ეგ იყო, ბატონო, მეონი მაგან მია-წოდა ღვინო.

მთავარი. აბა, ერთი მაგის ვაჟკაცობაც ვნახოთ! სიკა, შენ რომ ამბობდი, ნანოს გულისთვის თავს დავდებო, გახსოვს?

სიკა. მახსოვს, ჩემო ბატონო!

მთავარი. ხოდა, ნაკულაც ნანოს მაგიერად შენ მოგჭრის თავსა, ვიხარია?

სიკა. რა დავაშავე ასეთი, ბატონო?

მთავარი. ჩემს სიტყვას გადახვედი.

სიკა. არა, ბატონო, მე თქვენს სიტყვას არ გადავიდოდი. დიდებუ-რებმა მომიგონეს ალბათ!

ასპანი და ოსე. შენ არ იყავი, სიკა, მერიქიფეც რომ დაუძახებ: (იმეორებენ სიკას უცხტს, როგორ მოუხშო მერიქიფეცს.) ღვინო დაასხმევივინე. შენ არ უთხარი, გაავსე, შე ბრუტიანოო?

სიკა. (დაბნეული). ვუთხარი...

ასპანი და ოსე. ჩვენ ვიყავით? ჩვენ გთქვით — ეს ღვინო მენა, ეს ჯამი თქვენაო?

სიკა (დაბნეული, წამხდარი). მე ვთქვი...

ასპანი და ოსე. არა გრცხვენია, ჩვენ ტყუილს ვიკადრებდით, სიკა?

მთავარი. აი ხალხსაც ვკითხოთ, თუ ამათი არა გჯერა. ხალხო, ვინ დავსაჯოთ, ნანო თუ სიკა?

ხალხი. სიკა! სიკა!

სიკა. ეტყობა, მართლაც დამიშავებია... მაპატიე, დიღო ბატონო, მაპატიე, მეტს აღარ ვიზამ... ეს ერთი მაპატიე.

მთავარი. აი, შვილო, შენ კი არ გჯეროდა! დაუბრუნეთ სიკას ხმა-ლი. ახლა ჩვენს დარჩეულ სასიძოვებს ვკითხოთ, ცოლობას რომ გეზგეწებოდნენ, შუაზე რომ იფხრიჭებოდნენ, ერთი მაინც თუ დაიწერს ახლა შენზე ჯვარს და იმაზეც დათანხმდება, რომ ნაკულას ხელით შენს მაგიერად მოკვდება, როგორც ნამდვილ მეუღლესა და მეგობარს შეპყრის, კიდეც დავიჭერებ, რომ

ყველას არ აუკიდნია ვირისთვის თავისი ტვირთი, აბა, რას გვეტყვი, სასიძოებო, ვის გინდათ ქალი ლამაზი!

I სასიძო.

არა, ჩემო ბატონო,
რადგან თქვენსას არ იშლით,
თქვენი ქალი თქვენ გაყვდეთ,
და ჩემს ტყეში გამიშვით.

(გარბის.)

მთავარი. შენა, დათვის დალაქო, სად მიდიხარ, დაიცა!
დალაქი.

მე, ბატონო, ყოყმანა ვარ,
ცოლის თხოვნას რომ გადავწყვეტ,
შევასრულებ გაისად.

(გარბის.)

მთავარი.

აბა, ბიჭო, „სიფრთხილევ“,
შენ მაინც გამოიჩინო
ვაქცაობა, ვინძლო.

III სასიძო.

არაფერი არ მითქვამს,
არც არავის გიცნობთ.

(გარბის.)

მთავარი. ის სადღა, მეოთხე, ტყუილ ქადას რომ გვპირდებოდა?
ასპანი და ოსე. აღარ არი, გაქრა!

მთავარი. ო, სული ქადაზე ტკბილია!

მესტვირე. მე მაჩუქეთ მაგის თავი, ჩემთვის მაგისთვის სიკვდი-
ლი ბედნიერება!

ნანო. ჩემთვისაც!

მთავარი. ოჰო, შენთვისაც? ამას კი აღარ ველოდი...

ნანო. ხო, ბედნიერი ვარ!

მთავარი. კარგად დაფიქრდი, შენი ბედი ახლა შენს ხელშია, მე
არაფერს გაძალე.

ნანო. მე მალღობელი ვარ ჩემი ბედის!

მთავარი. სიკა, ახსენი ორივენი! (მესტვირეს.) წადი, ძიაკატო,
შენს გზას ეწიე. მიპატიებია.

ნანო. ჩვენ ერთი გზა გვაქვს. ზომ მითხარი, შენი ბედი — შენს
ხელშიაო?

მთავარი. მერე ამას მიყვები?

124

ნანო. ხო, მიყვები.

მთავარი. რატომ, ვინ გსჯის, ვინ გაიძულეს, რა გვეჭირს სამა-
გისო?

ნანო. იმიტომ, რომ შეეფიცე!

მთავარი. რაა? რატომ? ვინ გაიძულა? რა მოხდა ასეთი? კი მაგ-
რამ, იცი, ვინ არის ეს კაცი?

ნანო. ვიცი.

მთავარი. დარწმუნებული ხარ?

ნანო (ღიმილით). ეტყობა, ეს ყოფილა ჩემი ბედი.

მთავარი. მაშ, არ იშლი და არ იშლი შენსას?

ნანო. განა ასე არ დავთქვით?

მთავარი. მაშინ ახლა მე მომისმინე! (ტაშს შემოჰკრავს.) დააბ-
რუნეთ სასიძოები!

სასიძოები სიცილ-სიცილით ბრუნდებიან.

ხომ ხედავ, რა უცებ მობრუნდნენ! იმიტომ, რომ არსად არ
წასულან, რადგან არც ნამდვილი სასიძოები არიან. ესენი
წარმოდგენისთვის მჭირდებოდნენ. იქნებ გეგონა, მართლა
დალაქს ანდა მეტყვევებს გავატანდი შენს თავს! მართლაც, ყვე-
ლაფერი ისე მოხდა, როგორც ჩავთვლიყრე. ისიც წინასწარ ვი-
ლაფერი ისე მოხდა, როგორც ჩავთვლიყრე. ისიც წინასწარ ვი-
ცილოდი, ვინ შეგეცოდებოდა და ვის მიაწოდებდი ღვინოს. იმი-
ტომ რომ კეთილი ხარ, შეილო, თანაც ისიც მინდოდა, თვი-
თონ დარწმუნებულიყავი, ცხოვრება რომ სხვაა, სიზმარი და
ოცნება კიდევ — სხვა. ბავშვობა ერთხელ და სამუდამოდ უნდა
მოიშოროს ადამიანმა, თოჯინა როგორც გადავდევ, აი ისე.
ახლა რომ ხელში თოჯინა გეჭიროს, ზომ სირცხვილი იქნებოდა!
თანაც ეს მესტვირე მართლა მესტვირე ხომ არ გგონია. ანდა
მართლა მოხუცი?

ნანო (მესტვირეს შესტვირის, მაგრამ მთავარს მიმართავს). ყვე-
ლაფერი ისე მოხდა, როგორც თქვენ ჩაითქვით?

მთავარი. ხო, შეილო, ისე მოხდა, როგორც უნდა მოხდარიყო.

ნანო (ხმაგაბზარული). როგორც უნდა მოხდარიყო?

მთავარი. კაცმა გონებას უნდა დაუჭეროს და არა გულს. ბახუ-
ტა, მოიხსენი ეგ წვერ-ულვაში!

მესტვირეს რომ პარკი ეყუდა, ეს ნანომაც იცოდა, მაგრამ აფრას ელოდა
და არა ბახუტას.

ბახუტა (გახარებული, ბედნიერი). ვენაცვალე ჩემი ბედის დამ-
წერსა! მე ამომირჩია, ხალხო, ხომ ნახეთ, მე ამომირჩია! (ნა-
წერსა! მე ამომირჩია, ხალხო, ხომ ნახეთ, მე ამომირჩია!)

125

ნოს.) არ დაგვიწყდეს, რომ შემომფიცე! ხომ შემომფიცე? სიზმარშიც შემომფიცე და ცხადშიაც!

მთავარი. ახლა კი მართლა ველარ გადახვალ პირობას!

ნინო. სიზმარშიც შემომფიცე?... შენ რა იცი ჩემი სიზმრის ამბავი?

ბახუტა. ჩვენ ხომ იქ ვხვდებოდით ერთმანეთს, ზღვაში, ნაევბით...

იქ შემომფიცე!

ნინო. სიზმარშიც!..

ბახუტა. რომ გეუბნებოდი, მაგ სინათლისაც მშურს-მეთქი, მაგ

სარკისაც, შენ რომ გიყურებენ, შენი ხმა რომ ესმით, შენთან

რომ არიან-მეთქი... ხოდა, იქ შემომფიცე.

ნანო. სიზმარშიც ბახუტა გერქვა?

ბახუტა. არა, სიზმარში აფრა გერქვა... ფიქრში შეგარქვიო, მით-

ხარი, სიზმარში მებაღური ვიყავი და იმიტომ...

მთავარი. შენ სახელს აბოდებს, შენზე ფიქრით აღარ არი. აცი.

ამას წინათ მოვიდა, მუხლებში ჩამივარდა და შენი თავი მთხო-

ვა, შენ თვითონ უთხარი-მეთქი, ვერა, ვერ გავებდავო. ომში

ისე შევა და გამოვა, წარბს არ შეიხრის, შენს დანახვაზე კი

ელეთ-მელეთი ემართება, ფოთლოვით ცანცახებს ამოდენა

ვაჟაკი. და აი ბედმაც ისე გადაწყვიტა, როგორც უნდა ყო-

ფილიყო. რომ იცოდე, როგორ უხდებით ერთმანეთს...

ნანო. მაგრამ...

მთავარი. არა, შეილო, ცხადში აფრა არ არსებობს! ის სიზმრის

ბინადარი იყო, შეილო, და სიზმარივით გაქრა. აბა, სად არი?

(ეძახის.) აფრა! აფრა! გამოდი, თუ ხარ სადმე! ხომ ხედავ, არ

არის! სიზმარში რომ აფრას ნახავ, ცხადში ბახუტად ავი-

რულდება. თუ ჩემი არ გჯერა, ძიძასა ჰკითხე. ხომ იცი, შენი

ძიძა კუდიანია. გაილიმე, გაიციმე, გოგო! დღეს შენი ბავშვი-

ბა დამთავრდა, ახალ ცხოვრებას იწყებ, სიყვარულითა და ყვა-

ვილებით განათებულ ცხოვრებას. მალე შვილიც გეყოლება,

დედა გახდება. ჩაკიდეთ ერთმანეთს ხელი. ხო, ასე! მეც ბედ-

ნიერი ვარ! (ყვირის.) ხვალ დილით ქორწილი გვაქვს, ქორ-

წილი.

5. მთქმელი და ნანო.

ნანო (თითქოს ხმამაღლა ფიქრობს). ბახუტას როგორი ლაპარაკი

სცოდნია... მე კი მუნჯი მეგონა... ლობესთან გაჩერდებოდა და

მიყურებდა, რამ გადარია-მეთქი, ვფიქრობდი... (მთქმელს.)

არც ახლა დამანებებ თავს? ხომ ნახე, რაც მოხდა?

მთქმელი. ვნახე...

126

ნანო. ხოდა, დამანებე თავი, არ არსებობს არავითარი აფრა,

მე შენი მოგონილი ზღაპარია. გინდაც არსებობდეს, როგორ

ვეყვარები, მას ხომ თვალთ არ ვუნახავარ? ბახუტა კი ბავ-

შვობიდან მიცნობს, ვუყვარდი, მაგრამ თქმას ვერ მიხედავდა

თურმე და სიზმარში მეცხადებოდა. სიზმარში შემყვარა თავი.

ახლა კი სიზმარი ამინდა.

მთქმელი. შენ კარგად იცი, რომ მე ვერც არ არი, მაგრამ...

ნანო. რა მაგრამ? ყველა ტყუის და შენ ერთი ამბობ მართლს?

ბავშვი ხომ აღარა ვარ? ახლა რომ მე თოჯინა მეჭიროს ხელში,

ხომ სირცხვილი იქნებოდა? შენ კი ისევ ბავშვობისკენ მეწევი,

სიზმრებში, ოცნებებში...

თანაც, თანაც... თუკი მართლა არსებობს ის შენი მებაღე-

რი, არა, ვიცი, რომ არ არსებობს, მაგრამ ერთი წუთით დავუ-

შვათ რომ არსებობს, მაშინ მისთვისაც უკეთესია, ყველაფერა

ასე დამთავრდეს...

მთქმელი. ის უკვე ზღვაშია და აქეთ მოცურავს!

ნანო. არა! არა! რას ჩამაცდელი, ვის სჭირდება, მითხარი, ვის ჭირ-

დება ეს ზღაპარი?

მთქმელი. ვის ჭირდება? როგორ თუ ვის ჭირდება? იმას, ვინც

ხვალ მოვა, ვინც ხვალ იქნება შენისთანა პატარა გოგო და

ვისაც შენ უნდა ასწავლო, რომ არავითარი დაბრკოლება არ

არსებობს სიყვარულისთვის, თუკი გწამს, თუკი ბოლომდე

გჯერა!

ნანო. დამანებე თავი... მეძინება...

მთქმელი. კი ბატონო. შენ იცი, როგორც მოიქცევი, აღამიანმა

თვითონ უნდა აგოს ასუხი თავის ბედზე. გამუდმებით უნდა

სწამდეს რაღაცა, გამუდმებით უნდა ელოდოს სასწაულს. არ

დაგავიწყდეს, ის ახლა მოცურავს და შენი იმედი აქვს!

ნანო (ყურბუზე ხელებს იფარებს). დამანებე თავი, დამანებე!

მესამე მთქმელი

6. იმედი და სიმართლე.

სიმართლე. აი, ყველაფერი ისე დამთავრდა, მე როგორც ვფიქ-

რობდი. ოცნება ძილის წინ არის კარგი. აღამიანი სულ ოცნე-

ბით ვერ იტოვრებს. ჩემმა ლამაზმა დობილმაც, ბოლოს და

ბოლოს, დაიჯერა, რომ ოცნებისა და სიზმრების დრო დან-

არება, ახლა მათ იმავე სკივრში უნდა მოუჩინოს ადგილი,

სადაც მისი თოჯინები და ფაჩუჩები აწყვია. ნანო ახლა ზის

და სწორედ იმ სკივრს ალაგებს. თან ტირის. რა სულელები

127

არაან გოგოები, როცა ყველაზე დიდი ბედნიერება ეწვევათ, სწორედ მაშინ მორთავენ ხოლმე ტირილს. იტიროს, ტყუილ ოცნებასა და იმედს ისევ ტირილი ერჩიოს... შენ კი, ჩემო დაო, მრისხანედ რომ შეგიკრავს კოპები, იცი, რას გეტყვი: თუმცა შენ იმედი გქვია, მე კი სიმართლე, თუმცა ნანო სულ შენ შე- მოგციინებდა თვალეში, მე კი ზედაც არ მიყურებდა, მაინც მე უფრო გამოვადექი, ვიდრე შენ და ალბათ მომავალშიაც ბევრჯერ გამოვადგები. იცოცხლე — ლამაზი კი ხარ, სად მე და სად შენ! — შენი სახელიც ტკბილად ეღერს. გულზე თაფ- ლივით ეწვეთება ადამიანს, მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეს, რომ არაფერს იმდენი მსხვერპლი არ მოჰყოლია, რამდენიც იმედს. დიახ, დიახ, სწორედ შენზე ვამბობ — იმედზე! კი, ბა- ტონო, კარგია ტკბილი სიტყვა, ეალერსება ყურსაც და სინ- დისსაც, მაგრამ რად გინდა? ანათებს და არ კი იწვის! მომის- მინე, ჩემო ლამაზო და გულუბრყვილო დაიკო, იმედი ხავსია, ღვინის სარდაფის ნესტიან კედლებზე რომ ბიბინებს და კასრ- ში მომწყვედულ ღვინოს კი ვენახი ჰგონია... იმედი ტყუილით საზრდოობს და სხვასაც ტყუილის ლუქმას აჭმევს. მე კი სი- მართლე ვარ, სიმართლის შვილი, ამიტომაც ბევრს არ ვუყ- ვარვარ, შესავით სუფრის თავში არავინ დამბრძანებს. მე მაშინ ვჩნდები და მოვდივარ, როცა შენს გამო, ყველაფერი უკვე დაღუპულია. დარდისგან ნირწამხდარ ადამიანს ფეხზე წამოვყავნებ და ვეტყვი: მარტო შენა ხარ ახლა შენი თავის პატრონი, მოიშორე ოცნების აბლაბუდა, ქალაღის ფრთები და ახალი ცხოვრება დაიწყე მეთქი.

იმედი. ცხოვრება უოცნებოდ, უფრთოდ?

სიმართლე. ვის რად ჰირდება შენი ფრთები!

იმედი. რა გიპასუხო, ჩემო ჯიუტო დაიკო! რადგან ჩემი სიტყვისა არ გჯერა, სჯობს შენი თვალით ნახო, რა დაემართა კაცს, ფრთებით რომ დაიბადა, მაგრამ მთელი სიცოცხლე კი უფრთოდ გაატარა.

სიმართლე. განა შეიძლება ადამიანი ფრთებით დაიბადოს?

იმედი. ზღაპარში ყველაფერი შეიძლება. ის კაცი სხვა პლანე- ტაზე გაჩნდა. ბავშვი იყო, ქარმა რომ მოიტაცა და ჩვენს კუნ- ძულზე ჩამოავდო. მთავარმა ფრთები დააქრა და განჯინაში შეინახა, ბავშვი კი ძაღლებს მიუვლო გასაზრდელად, ენაოთ ერთი, რა გამოვალ...

სიმართლე. სიკა?

იმედი. აი, ხომ ხედავ, შენც გცოდნია! ის დაჭრილი ფრთები

მაინც იზრდებოდა, ახლა იმოდენა, განჯინაში აღარ ეტყევა! ხო, სიკა გახლავს ის კაცი, მთავარმა რომ ფრთები დააქრა და ძაღლის ლეკვებთან ერთად გაიზარდა... (გდახსნ.) სიკა, სიკა. მოდი ერთი აქ!

სიკა. აჰა, მოვედი. ვინ მეძახდა?

იმედი. მე გეძახდი, სიკა, იმედი!

სიკა. იმედი? აბა, იმედი, ჩემი იმედი ჩემი ბატონია!

იმედი. ეგრე იყოს, არავინ გართმევს შენს ბატონს... შენ ის მითხ- არი, ფრთები რა უყავი, სიკა?

სიკა. რაო? ფრთებიო? რა ფრთები, რის ფრთები? შენ ჩვენი ჩიტისა რა ხარ?

იმედი. დაცა, ნუ აყეფდები. აბა, ეგ განჯინა გამოვალე!

სიკა. რათა? რატომ უნდა გამოვალო?

იმედი. გამოვალე და გაიგებ. თამამად, ნუ გეშინია!

სიკა. რისი უნდა შეშინოდეს? აჰა, გამოვალე!

იმედი. მანდ რა ჰკილია, სიკა, ლურსმანზე?

სიკა. აქა? ლურსმანზე?.. არაფერი... არაფერიც არ ჰკილია...

იმედი. აბა, დააკვირი, ვერაფერს ხედავ? ეგ რა არის, ვისია ეგ, სიკა?

სიკა. ჩემი არ არის!

იმედი. აბა, ჩამოხსენი ლურსმნიდან. ხო, ეგრე. ეგ შენი ფრთებია, სიკა!

სიკა. რაა?

იმედი. ფრთები, შენი ფრთები, სიკა!

სიკა. აბა, აბა! ხუმრობას მოუკვდა პატრონი!

იმედი. ხო, შენი ფრთებია, სიკა!

სიკა. გესმით, ხალხო, რას ამბობს, ფრთებიო! ხომ ვთქვი, სულ იმ ჩიტის ოინებია-მეთქი, ბატონს უნდა გადაეკილოს!

იმედი. არა, სიკა, მართლა შენი ფრთებია. თუ ჩემი არ გჯერა, აი ამ გოგოს ვკითხოთ, მაგას სიმართლე ჰქვია სახელად. შენ ალბათ პირველად ჰხედავ. ხოდა, ჰკითხე, ეგ გეტყვის.

სიმართლე. ხო, დაუჯერე, შენი ფრთებია, სიკა!

სიკა. კი მაგრამ... კი მაგრამ... ეგ თუ ჩემი ფრთებია, განჯინაში რა უნდა? ან ეგ უნდა იყოს ჩემთან, ანდა მეც განჯინაში უნდა ვეკილო ლურსმანზე, ასე არ არის? (იცინის.)

იმედი. შენ ისე იცინი, ვითომ მართლაც არაფერი გახსოვდეს!

სიკა. რა უნდა გახსოვდეს? შენ ის მითხარი, ეგ თუ ჩემი ფრთებია...

იმედი. ეგ ფრთები დაგაჭრეს, სიკა, დაგაჭრეს!

სიკა. ვინ დამაჭრა? როდის? მოვიდა მთარახი!

9. თ. პილაძე

იმედი. პატარა რომ იყავი, მაშინ დაგაპტრეს... მართლა არაფერი გახსოვს?

სიკა. ვერ გაიგე, არა-მეთქი!

იმედი. თუ არაფერი გახსოვს, რატომ დგახარ ხოლმე ამ განკინასთან გარინდებული, რა გეგულება ამ კარს იქით, ჩურჩხელა თუ ლეღის ჩირი? არა, ჩემო სიკა, შენ ყველაფერი მშვენიერად გახსოვს, ისიც კარგად იცი, ეს ფრთები შენი რომ არის, მაგრამ შიშით ხელი ვერ გიხლია, იმიტომ, რომ ბატონმა ავიკრძალა. მაგრამ ბატონზე უფრო იმისა გეშინია, ვაითუ, ველარ გავფრინდე, ვაითუ ფრენა დამავიწყდა, ვაითუ ჩამოვვარდეთ. ტყუილად გეშინია, სიკა, ფრენა ისევე არ ავიწყდება კაცს, როგორც თევზს — ცურვა, რომელ წყალშიაც არ უნდა გაუშვა. აბა, ნუ გეშინია ნურაფრისა. ვაიკეთე, მოირგებ ბეჭებზე. შენია, შენი! ხო, ხო. თამამად. ნუ გეშინია!

სიკა. (ფრთებს სინჯავს სევდიანად). ჩრჩილს შეუქამია... (გაჟოერკვევა.) რატომ უნდა გავიკეთო?

იმედი. ფრენა რომ გაგახსენდეს და გაფრინდე!

სიკა. შენ გაფრინდი, თუ კარგია, მე რატომ უნდა გაფრინდე? ეისაც გაფრენა უნდა, ის გაფრინდეს! ამაზე კარგ ადგილას სად გაფრინდები? იქნება, ჩემი მოშორება გინდათ პა? ვერ მოგართვით, ლამაზებო! მე თქვენ გაჩვენებთ ფრთებსა! ჩემი ადგილი აქ არის. ყველაფერს ბატონს მოეახსენებ! ამასაც მივუტან, ამ აქოთებულ ჩვრებსა. ვერ უყურებ, რა მოიგონეს ფრთებიო?! (გაცოფებული გარბის, ფრთებიც მიაქვს.)

სიმართლე. შეხედე, შეხედე, რა ამბავშია, როგორ ილანძვება, რა ხმით ყვირის! ფრთებით სცემს ჩაფრებს, ახლა ბავშვებს დაერია. მაგ შენს მოწონებულ ფრთებს ჯერ ნაკუნაკუნად აქცევს, მერე ნავთს გადაასხამს და დაწვავს.

იმედი. დაიცადე, წინასწარ ნუ იტყვი, ნუ აჩქარდები. საერთოდ, ნაადრევად გამოიყვანე წირვა, ჯერ მე ფარ-ხმალი არ დამიყრია. მალე ისეთ რამეს ნახავ, რასაც ფიქრშიაც კი ვერ გაივლებდი. გაფრთხილებ, მზად იყავი, მოულოდნელი ამბები გველის.

სიმართლე. რით ველარ გაძლა შენი გული! რა დროს მოულოდნელობაა, არ ჯობია ყველაფერი ჩვეულებრივად დამთავრდეს? სიკა აქ დარჩეს, ნანო კი გაფრინდეს. ხომ იცი, რას ნიშნავს ქალის გაფრენა — გათხოვებას, ოჯახს, ქმარ-შვილს, იცხოვროს დიდხანს, ძალიან დიდხანს, ბედნიერად...

იმედი. მეც ეგ მინდა, რომ ყველამ დიდხანს იცოცხლოს, ბედნიე-

რი იყოს, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ ადამიანი, ცეცხლის მსგავსად, იქამდე ცოცხლობს, სანამ ანათებს...

7. ნანოს სიზმარი.

ლაშ. ნანოს ოთახში შემოდის შავოსანი ქალი

ნანო. მე მძინავს... მე ახლა ტკბილად მძინავს...

ქალი. ვიცი, რომ გძინავს...

ნანო. მერე, თუ იცი...

ქალი. აი, შენ არა გცოდნია, რომ ძილიც სიცოცხლის ნაწილია...

ნანო. რა გინდა ჩემგან?

ქალი. მიცანი?

ნანო. ხო, გიცანი... აფრა ცხადში არ არსებობს, ყველა ასე ამბობს და მეც უკვე დავიჯერე!

ქალი. მართალი უთქვამს ყველას!

ნანო. მართალი უთქვამს.

ქალი. არა, შვილო, მე შენ არ გადანაშაულებ...

ნანო. ან რატომ უნდა მადანაშაულებდე?

ქალი. სულ აქეთ ეპირა თვალი...

ნანო. გაჩუმდი... მე მაინც არ მჯერა... აღარ მჯერა...

ქალი. სულ შენსკენ მოუწევდა გული...

ნანო. შენ არა თქვი, მართალი უთქვამთო, ცხადში არ არსებობსო?

ქალი. შენ ერთადერთს შეგეძლო, ის ოცნებიდან ცხადში გადმოგეყვანა.

ნანო. როგორ?

ქალი. თუკი დაიჯერებდი!

ნანო. რას? სიზმარს? ოცნებას? ტყუილს?

ქალი. ხოდა, ამიტომაც, სულ ოცნებაში დარჩება, ყველა პატარა ბიჭის ოცნებაში იცხოვრებს მუდამ.

ნანო. მერედა, შენ ეს გზაარია?

ქალი. მე დედა ვარ!

ნანო (თითქოს ნიშნისმოკებით). მაგრამ, სანამ უკვდავი გახდება, იქამდე ხომ უნდა დაიღუპოს! ასე არ არის ლექსში ნათქვამი?

ქალი. აკი გითხარია, დედა ვარ-მეთქი!

ნანო. მე მეგონა, დედებს უფრო უყვარდათ შვილები!

ქალი. დედას შვილი შვილისთვის უყვარს და არა თავისთვის.

როცა თავისთვის უყვართ, ის სიყვარული არ არის.
ნ ა ნ ო. ქვის გული გქონია!
ქ ა ლ ი. ხო, უნდა მოკვდეს, რომ მერე მუდამ იცოცხლოს!
ნ ა ნ ო. აი, მე კი არ მინდა, რომ მოკვდეს! ამიტომაც აღარაფერი
აღარ მჭერა, ზღაპრობანა და თამაშობანა დავამთავრე...
ქ ა ლ ი. ის კი მოცურავს და დოლაბი მოაქვს...
ნ ა ნ ო. მერე? რაღას უცდი? დედა არა ხარ? რატომ არ ყვირი?
რატომ ნავსადგურში არ გავარდები, იქნებ ჭერ კიდეც უშვე-
ლონ, ნავში აიყვანონ, გადაარჩინონ!
ქ ა ლ ი. რას გადაარჩინონ!
ნ ა ნ ო. (ყვირის). სიკვდილს! სიკვდილს!
ქ ა ლ ი. არა, ის ახლა თავის უყვადვებისკენ მოცურავს... მე კი მჭე-
რა მისი. ხედავ, ხედავ, ნუთუ ვერ ხედავ? შენსკენ მოცურავს
საკუთარი საფლავის ლოდით.
ნ ა ნ ო. (წამოვარდება). ტყუილია! ტყუილია! ტყუილია!

შუქი ინთება. ოთახში შემოვარდება დაფეთებული ძიძა.

ძ ი ძ ა. რა იყო, შეილო, რა მოხდა, რა დაგესიზმრა ასეთი?
ნ ა ნ ო. (აცხცახებული კედელს აჰკვრია)... ვითომ... ვითომ ვილაყ
შავოსანი ქალი მელაპარაკებოდა...
ძ ი ძ ა. შავი ფერი კარგია, სიხარული იცის. რა მინდაო?
ნ ა ნ ო. შენსკენ მოცურავს... საკუთარი საფლავის ლოდით...
ძ ი ძ ა. თუ ქალი მოხუცებული იყო, ესეც კარგია, ამანაც სიხარული
იცის...
ნ ა ნ ო. (უკვე დამშვიდებული). ხო, წადი, ძიძა, წადი, დაიძინე.
ძ ი ძ ა. შენ არ გეძინება?
ნ ა ნ ო. მეც დავიძინებ.
ძ ი ძ ა. მეტი არაფერი უთქვამს?
ნ ა ნ ო. არა... არ უთქვამს...
ძ ი ძ ა. ღმერთო შენი სახელის ჭირიმე, მაღლობელი ვარ, რომ ამ
დღეს მომასწარი! ქალი ჩიტვითაა, შეილო, ფრთები რომ
წამოვზრდება, უნდა გაფრინდეს, საქმროც კარგი შეგახვედრა-
ღმერთმა, მთელი საქალეთი შენ დაგნატრის. ბავშვმაც კი იცის,
ვინ არის ბახუტა, მავაზე ლექსიც არი გამოთქმული:
ცხენზე შეჭდება — ქორსა ჰვავს.
დაუქვეითებს — მგელიაო...
თურმე დიდიხანა ყვარებხარ, აბა, ერთხელ თუ წამოცდენია.
სხეებით ფანდურით კი არ დაღის ორლობეში...
ნ ა ნ ო. მიყურებდა, სულ მიყურებდა, ხმას კი არ იღებდა... არადა,
122

როგორი ლაპარაკი სცოდნია!
ძ ი ძ ა. სიყვარული მუნჯსაც ალაპარაკებს, შეილო.
ნ ა ნ ო. სიზმარშიც მე გესიზმრებოდიო... სიზმარში კი, მაგრამ აი
ცხადში რომ არ მიყვარს?
ძ ი ძ ა. აბა, ამ ღამით მარტო ბახუტაზე იფიქრე და ხვალ დილით
უკვე შეყვარებული იქნები. სამუდამოდ დაგაიწყდება შენი
სიზმრები, დოლაბები, რა იყო, რატომ შეკრთი?
ნ ა ნ ო. საკუთარი საფლავის ლოდით...
ძ ი ძ ა. კარგი ახლა, გათენდა, დავიძინოთ... თუ გინდა, აქ დავწეები,
შენთან.
ნ ა ნ ო. არა, არა, პატარა ხომ აღარა ვარ!
ძ ი ძ ა. სანთელი ჩაეაქრო?
ნ ა ნ ო. იყოს, თვითონ ჩაქრება...
ძ ი ძ ა. სულ ჩაუქრობლად გინთია.
ნ ა ნ ო. ძიძა, ძიძა, დაიცა! გესმის, როგორ ღელავს ზღვა?
ძ ი ძ ა. ილეღოს, რამდენიც უნდა, ჩვენ რას დაგვაკლებს!
ნ ა ნ ო. ცოდაო, ვინც ახლა ზღვაშია.
ძ ი ძ ა. ზღვაში ახლა ვინ იქნება? გემები ჭაჭვებითაა დაბმული
ნავსადგურში.
ნ ა ნ ო. აღამიანს ხომ ვერ დააბამ?
ძ ი ძ ა. აი ჩვენი სიკას მკლავის სიმსო ჩაჭვებით... რა თქვი? ალა-
მიანი რატომ უნდა დააბამ?
ნ ა ნ ო. მაშ, არაფრით, არაფრით, არაფრით, არავითარ შემთხვევაში
არ შეიძლება, ახლა ვინმე ზღვაში რომ იყოს?
ძ ი ძ ა. არა, შეილო, ავსული თუ არ არი, არ შეიძლება... შენ ნუ
გეშინია, ილეღებს და ჩაწყნარდება. ზღვა რის ზღვაა, თუ არ
ილეღა.
ნ ა ნ ო. არაფრისაც არ მეშინია!
ძ ი ძ ა. მაშ, სანთელი ენთოს?
ნ ა ნ ო. ხო, დაიძინე...

8. სანთელი და სარკე

ს ა ნ თ ე ლ ი. თქვენ რომ იცოდეთ, ძვირფასო მეგობრებო. რა ძნე-
ლია სანთლობა! ამ პიესაში მე, ეტყობა, ყველაზე ძნელი როლი
შემგხვდა. აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ — იღვე, თავზე
ცეცხლი გეკიდოს და ზმას არ იღებდე! ზოგჯერ ვერ მოვიტყენ-
და ამოვიკვნივს ხოლმე, თქვენ კი ღიმილით იტყვი, სანთე-
ლი გატყაუნდაო. კაცს რომ ცეცხლი წაეკიდება — ვარბის,
ცხენს, რომ ცეცხლი წაეკიდება — ისიც ვარბის, აბა, ერთი

გლით სპილოს მიაღეთ მუგუზალი, როგორ მოკურცხლავს;
სპილო კი არა, ხე, რომ ხეა, ისიც კი ცდილობს გაქცევას,
როცა ცეცხლი წაეკიდება. მე კი თავზე, ცეცხლი მიკილია და
მაინც ერთ ადგილზე ვდგავარ...

თითის წვერებზე ვდგავარ და ვიცი,
პაწია ჩქამზე ჩიტივით ვკრთები,
თვალს ვაცეცებ და კისერს ვიწვდი
და ამ ლოდინში ვერ ვგრძნობ, რომ ვკვდები.

საქმე ის არის, რომ მეც თუ სირბილი დავიწყო, ქვეყანა აირე-
ვა. სავნები ერთმანეთს შეენარცხებიან, ადამიანები სიბნელე-
ში გზას ვეღარ გაიკვლევენ. კაცი რომ დაიძახებს, სანთელი
მომინათეო, მე იქ აღარ ვიქნები, სადაც ვეგულები და შეიძ-
ლება რაღაც უბედურება მოხდეს. ამიტომაც, ვდგავარ ასე
და არსად არ გავრბივარ. ჩემი ერთად-ერთი ნუგეში ის არის,
ვილაყას რომ ველოდები, ოღონდ არ კი ვიცი, ვის...
თვალს ვაცეცებ და კისერს ვიწვდი
და ამ ლოდინში ვერ ვგრძნობ, რომ ვკვდები...

ს ა რ კ ე.

რა ბრყევია ეს სანთელი,
თვითონ ხომ არ ეძინება,
სხვასაც უფრთხობს ძილს,
ერთი ქარმა დაუბეროს,
ო, როგორ გამიხარდება,
ჩააქროს და
დაანარცხოს ძირს.

ს ა ნ თ ე ლ ი. მოდის! (ფანჯრის რაფაზე შეტეხა.)

ნ ა ნ ო (ლოგინიდან წამოვარდება). მოდის?

ძ ი ძ ა (შემოიხედავს). მე შეძახი, შვილო?

ნ ა ნ ო. არა, არა...

ძ ი ძ ა. აბა, ძილი ნებისა, გენაცვალე... (გადის.)

ს ა ნ თ ე ლ ი. ტალღას მოაპობს, მოდის!

ნ ა ნ ო. რატომ არ გეცოდები, სანთელო? მთელი ქვეყანა ამბობს
ტყუილია, გეჩვენებო, გესიზმრებო, შენ კი გულს მიხეთ-
ქავ. აბა, დამანახე, ვინ მოდის?

ს ა ნ თ ე ლ ი. მოდის!

ს ა რ კ ე.

თუ მართლა მოდის,
ვერასგზით
ვერ გადარჩება ის,

რატომ გვატყუებ, სანთელო,
რად არ მოკუთვავ პირს?

ნ ა ნ ო.

სარკვე, სარკვე,
დამამწვიდე,
მითხარი, რომ ყველაფერი ტყუილია,
მითხარი, რომ ეს სანთელიც ტყუის!

ს ა რ კ ე.

ნუ აპყვები,
ნუ აპყვები გულს!

ნ ა ნ ო.

შენ გგონია შემოძლია?
ამიტომაც ჩემი თავი მძულს!

ს ა ნ თ ე ლ ი.

ვაჟი მონაგრევეს ტალღებსა,
გულ-მეგრდი არა ჩქამობდა,
ცალ ხელით დოლაბი მოაქვს,
ცალ ხელით ნიაქარობდა.
ზღვის გაღმა ერთი სანთელი
გამოღმა კელატარობდა!

ნ ა ნ ო. შენ არ გესმის, რას გეუბნებიან, ცხადისა და სიზმრის შე-
ერთება არ შეიძლება, არა!

ს ა ნ თ ე ლ ი. მოდის!

ნ ა ნ ო. ტყუილია!

ს ა ნ თ ე ლ ი. ცალ ხელით დოლაბი მოაქვს!

ნ ა ნ ო. გაჩუმდი!

ს ა ნ თ ე ლ ი. ვაჟი მონაგრევეს ტალღებსა!

ნ ა ნ ო (ყურებზე ხელბაფარებული ყვირის). ტყუილია! ტყუილია!
ძიძა! ძიძა! ჩააქრე სანთელი, ძიძა!

ძ ი ძ ა (შემობრბის). ახლავე, შვილო, ახლავე, (აქრობს სანთელს.)

მაშინვე დამაჩების ჰახაუხი ატყდება. ეს ბრყევი დარბის სასახლეში და
დამაჩავს ისერს, თან ყვირის.

ბ რ ი ყ ვ ი. ქორწილია! ქორწილია, ქორწილია!
ს ი მ ა რ თ ლ ე. ხომ ხედავ, იმედო, შენთვის აქ ადგილი ნამდვილად
აღარ დარჩა. ხომ გესმის, რას ყვირიან, ქორწილიაო!
ი მ ე დ ი. შენ ამ ჰკუთისკოლოფს უჭერებ?

9. ეპილოგი.

ნ ა ნ ო: ქორწილია. ბიჭებისა და გოგონების გუნდი სიმღერ-სიმღერით შემოდის

სცენაზე. გუნდს ნანო და ბახუტა მოუძღვებიან, მათ გარშემო ძიძა დაფუს-
ფუსებს, გახარებული. მთავარიც აქვება, ვეზირებიც.

ბ ი ჯ ე ბ ი.

ქორწილია და ქორწილი,
ტყუილი ნურვის გონია,
ისეთი დაეაგუგუნოთ,
ეგონოთ, დიდი ომია.

ძ ი ძ ა.

აბა, თეთრი ყვავილები
მოიტანეთ ჩქარა!
თეთრი, თეთრი ყვავილები
მოაბნიეთ ბილიც.

გ ო გ ო ე ბ ი.

ნეტავი შენო,
თეთრო გვირილაო,
მინდორში გასულხარ,
ქარი მოგწევია,
შენი თეთრი კაბა
ქარს გაუტაცნია,
შენი თეთრი მკერდი
მზეს დაუკოცნია,
ნეტავი შენო,
თეთრო გვირილაო.

ბ ი ჯ ე ბ ი.

შორიდან მოსულები ვართ,
გადმოყრილები ქარისა,
უცხონი ნუ გეგონებით
წასაყვანად ვართ ქალისა.

გ ო გ ო ე ბ ი.

ირემო, მთასა მყვირალო,
რამ ჩამოგაგდო ბარადა?

ბ ი ჯ ე ბ ი.

ეკლით მკერდჩამოკაწრული,
ვეხეტებოდი ცალადა.

გ ო გ ო ე ბ ი.

თეთრო, თეთრო გვირილა,
მზემ დაგადგა თვალი,
მოქუხს თეთრი მდინარე,
ვით მაყარი მთვრალი.

136

მზის მკერდია მხურვალე,
ჰოი, თეთრო ყვავილო.
ტუჩები აქვს მზეს
გვალეასავით მწყურვალე...

ბ ი ჯ ე ბ ი.

მოვდივართ, მოგვიხარია,
მოგვყავს დედალი ხოხობი,
ქალი მოგვყავს მზიანი,
აბრეშუმის თმიანი,
ქალი მოგვყავს ნათელი,
მოგვინათეთ სანთელი.

მ თ ა ვ ა რ ი.

ბიჭო, ფიალა ამივსე,
მომაწოდე ხელსა,
დიდება ღმერთსა,
კიდევ დავლევ ერთსა,
ღმერთმა ყველას გაუმარჯოს
სტუმარ-მასპინძელსა!
სიკა, სიკა სად დამეკარგა?

უცებ ყველა ერთ ადგილას გაქვავდება. სცენაზე შემოდის სიკა, რომელსაც
ჩიტისთვის ჩაუკილია ხელი. სიკას ვეება, ჩამოქნძილი ფრთები უკეთია, თეთრო-
ნაც ერთიანად ჩამოგლეჯილ-ჩამოკონკილია, გადაყვანილი მუხლებიდან და იდა-
ყვებიდან სისხლი სდის. სცენის კუთხეში შეჩერდება, ჩიტს ხელს არ უშვებს,
არაფრის მხედველი თვალებით შესცქერის ხალხს. მოჩვენებას უფრო ვაჟს, ვიდ-
რე ჩვენს ნაცნობ ჩაფარს — სიკას.

ბოლოს, დამაბულ სიჩუმეს ისევ სიკა არღვევს. თითქოს თავის თავს
ხამალა ელაპარაკებო.

ს ი კ ა. ჭერ ალიონიც არ იყო... ზღვის ნაპირას გავედი.. ზღვის ნა-
პირი ცასთანაც ახლოა... ფრთები იქ გავიკეთე... ჭერ ნელნე-
ლა წავედი, მერე თვალი დავხუჭე და გავიქეცი... ვერ კი გავ-
ფრინდი!.. მიწას დავენარცხე... ასე ვიწვალე დიდხანს, ამასო-
ბაში გათენდა კიდევ... ერთხელაც გავიქეცი და... როგორც
იქნა, გავფრინდი. დავინახე, მიწა როგორ ამოყირავდა და იმ
წამსვე ტალღებში ზღართან გავადინე... ცურვა კი ვიცი, მაგ-
რამ ფრთები ღრუბელივით გაიბერა, დამძიმდა და ნამდვილად
დავიხრჩობოდი, აი ამ ჩვენს ჩიტუნის რომ არ დავენახე და
ჩემს საშველად ხალხი არ გამოექცია. ხალხი კი თურმე ნა-
პირთან იმიტომ შეგროვილიყო, რომ ვიღაც დამხრჩვალყო

137

ჩემამდე, ჩემზე გიჟი, ხო, ჩემზე უფრო დიდი გიჟი, რადგან მე თუ ფრენა მოვიწოდებ, იმას დოლაბით ზღვა გადმოუცურავს... ზედ ნაპირთან დამხრჩვალყო. ქვებზე ეგდო, იმ ქვებზე გადაეიტყავე მუხლები ასე...

ჩ ი ტ ი (ტირილით).

წყალსა დაეხრჩო ჰაბუკი,
ჰორხზე ეგდო, ქანობდა...

ს ი კ ა. ხო, ნაპირთან იყო უკვე მოსული... ფეხზე რომ დამდგარიყო, წყალი წელამდელა თუ მიწვედებოდა. სიბნელემ დალუპა...

ჩ ი ტ ი (ტირილით).

წითელი მოვის პერანგი
ზევიდან დაჰფარფარობდა...

ს ი კ ა. წითელი პერანგი კი არა, სისხლი იყო იმ ბიჭისა, კლდეს შენარცხები სიბნელეში... ნაპირთან იყო უკვე მისული...

ჩ ი ტ ი (ტირილით).

ლემს დაჯდომოდა ზედ ორბი,
გულსა უგლვჯდა, ხარობდა...

ს ი კ ა. დოლაბიც იქვე ეგდო, ქვებზე... ეტყობა, ნაპირისკენ ისროლა, როცა შეატყო, ვკვდებო... გავიგონიათ, ზღვა დოლაბით გადმოეცურათ? იმან კი გადმოცურა... ფეხზე რომ დამდგარიყო, წყალი წელამდელა მიწვედებოდა...

ზალხი ცოტახანს კიდევ გაოგნებული დგას, თითქოს რაღაცას ელაულება. პირველი ბახუტა გამოეჩვენა, დაინახავს რომ ნანო მის ვერდიტ ალარ არის, შეუმჩნევლად გამჭარალა.

ბ ა ხ უ ტ ა (შეშფოთებული). ნანო სად არი?

მ თ ა ვ ა რ ი. კი მაგრამ... აკი... სიკა, სიკა, სიბერეში ჩიტობა მოინდომე? რას ჩმხავ, თუ იცი შენ? რის დოლაბი, რა დოლაბი!

ჩ ი ტ ი.

ჩემი თვალით ვნახე,
დოლაბი ქვებზე ეგდო...
ჩემი თვალით ვნახე...

ბიჭს ზღვა დოლაბით გადმოუცურავს!

ს ი კ ა. დოლაბი იქვე ეგდო, ქვებზე... გავიგონიათ, ზღვა დოლაბით გადმოეცურათ?

ბ ა ხ უ ტ ა (ხალხს ეკითხება). ნანო არ გინახავთ, ნანო არ დაგინახავთ?

მ თ ა ვ ა რ ი. კი მაგრამ, აკი ბიჭი დოლაბით ზღვას რომ გადმოცურავს, სასახლე დაინგრევთ?

ა ს პ ა ნ ი. აკი მიწა დატრიალდება?

ო ს ე. აკი ბავშვები უცებ გაიზრდებიანო?

მ თ ა ვ ა რ ი (გახარებული). ხომ ვამბობდი ტყუილია-მეთქი!

ბ ა ხ უ ტ ა (დაფეთებული, ხალხს ეკითხება). ნანო, ნანო სად არის? ნანო არ გინახავთ?

მ თ ა ვ ა რ ი (გახარებული). ხომ ხედავთ, არაფერიც არ მომხდარა! (ბრიყვის ხელს გადახვევს.) — წამო, ბრიყუნა, ნანო მოვებნოთ, ალბათ სიკასი შეეშინდა და განჯინაში დაიმალა.

ბ რ ი ყ ვ ი. არაფერიც! ნანო გაქრა, გაგვერიდა, უკეთეს ადგილას წავიდა: რაც უნდა ეძებო, ვეღარ იპოვი. მორჩა, გაფრინდა, დაიკარგა...

მ თ ა ვ ა რ ი. დაბით ეს ოხერი, მართლა გაგვიებულა!

ბ რ ი ყ ვ ი. და რომ იცოდე, გარედან ატლასი, შიგნით ათასი, ქისა კი არ არის — ბროწეულია. ვეცე, ვეცე, ვერ დაგვეცე ფული კი არ არის — გზაა. ხედავ, ხედავ, რა შორს მიდის ეს გზა, ზედ ნანო მიაბიჯებს! დიახაც, რომ გავგეჟდი. (დამბაჩას ისვრის.) დატრიალდა კუნძული, ხალხნო, დატრიალდა კუნძული!